ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანუკი ლომიძე

ტურიზმის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომები (დაბა წაღვერის მაგალითზე)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

(ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მერაბ ხოხობაია

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია:

კვლევით ნაშრომში განხილულია ტურიზმის მდგრადი განვითარების პოტენციალი წაღვერის მაგალითზე. პირველი ნაწილი მოიცავს ტურიზმის განვითარების შესაძლო გავლენებს სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გარემოზე და მისი ასახვას მომავალ თაობებზე. ასევე ასახულია, ამ განვითარებისთვის ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი როლი ყველა დაინტერესებული მხარის, როგორიცაა ხელისუფლება, კერძო სექტორი, მოსახლეობა, ვიზიტორები და სხვა, მათი შესაძლებლობები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

მეორე ნაწილში ტურიზმის განვითარებაში თემისა და საჯარო და კერძოს სექტორის როლია განხილული, ასევე ხაზგასმულია სისტემური ანალიზის და დაგეგმვის მნიშვნელობა.

ბოლოს კი განხილულია რეგიონის პრობლემები, ამ პრობლემების გადაჭრაში ტურიზმის როლი. ხაზგასმულია ტურისტულად მნიშვნელოვანი რესურსები და ადგილები, ასახულია მათ განვითარებასა და ტურიზმში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

ჩატარებულია კვლევა, რის შედეგად გამოვლინდა, რომ დაბა წაღვერს, ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევით მუშაობის შემთხვევაში, აქვს პოტენციალი, გახდეს მოწინავე თავის ნიშაზე და მოგვცეს მდგრადი განვითარების საშუალება.

Annotation

Anuki Lomidze

Integrated and participate approach to sustainable development of tourism

(A case of Tsaghveri)

The research paper deals with the potential of sustainable development of tourism in the case of Tsaghveri. The first part covers the possible impacts of tourism development on the social, economic and environmental environment and its reflection on future generations. It also reflects the integrated and co-ordinated role of this development for all stakeholders such as government, private sector, population, visitors and others, their capabilities, liabilities and responsibilities.

The second section discusses the role of the community based tourism and the public and private sectors in tourism development, and emphasizes the importance of system analysis and planning.

The problems of the region are discussed, the role of tourism in solving these problems. Highlighted important resources and places are reflected in their development and tourism use problems and ways of solving them.

As a result of the research, it has been revealed that in the event of joint efforts of all stakeholders of the borough, we have the potential to become an advanced on its niche and give us a sustainable development.

"*REAL SUSTAINABILITY ONLY WORKS WITH SINCERE HUMANITY*"[1]

[1] SUSTAINABLE TOURISM, COMMUNITY PARTICIPATION and PERSPECTIVE for RURAL DEVELOPMENT - https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/12038Mumpuni-Kuntoadji.pdf

შინაარსი:

შესავალი 5

1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფუნდამენტური საფუძვლები 11

1.1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების მექანიზმები 11

1.2. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები 17

1.3. მდგრადი განვითარების პოლიტიკის სოციალური და ეკონომიკური შედეგები; 20

2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა და ტურიზმი..... 22

2.1. თემზე დაფუძნებული ტურიზმის როლი ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითარებაში 22

2.2. ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური ანალიზი და პოლიტიკის დაგეგმვა 24

2.3. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის როლი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში 27

3. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების განვითარების პოტენციალი და მისი განხორციელების შესაძლებლობები დაბა წაღვერში 37

3.1. დაბა წაღვერის ტურისტული პოტენციალი და განვითარების შესაძლებლობები 37

3.2. ტურიზმის სექტორში არებული მდგომარეობის სისტემური შეფასება და ანალიზი 52

3.3. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების სტრატეგია დაბა წაღვერის ტურისტული განვითრებისათვის..... 57

დასკვნა და რეკომენდაციები:..... 73

გამოყენებული ლიტერატურა და ვებ გვერდები: 76

დანართები..... 78

შესავალი

თემის აქტუალობა:

ბოლო ათეული წლების განმავლობაში ტურიზმმა, სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, უწყვეტი გაფართოება და ცვლილებები განიცადა და გადაიქცა მსოფლიოს ეკონომიკის ყველაზე დინამიურ და სწრაფი ტემპებით განვითარებად დარგად, რის გამოც, ის სპეციალისტებმა აღიარეს თანამედროვეობის ეკონომიკურ ფენომენად.

ტურიზმის - თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიის - მდგრადი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიაწაღვერისთვის, ისევე როგორც მთელი საქართველოსა და მთელი მსოფლიოსთვის, რადგან ის მოიცავს ინდუსტრიის განვითარებას მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებით. ითვალისწინებს სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედებას და ასევე მათ გავლენას ტურიზმზე. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით იყენებს სტეიკჰოლდერების ცოდნასა და გამოცდილებას და ამ ყველა პუნქტის გათვალისწინებით მისი განვითარება ხდება აუცილებლად დეტალურად გაწერილი, დამუშავებული, კვლევებითა და პრაქტიკით გამყარებული გეგმის საფუძველზე, რასაც შესაძლო დასაშვები შეცდომები მინიმუმამდე დაყავს. იგი ყველა არსებული რესურსების მენეჯმენტს ითვალისწინებს ისე, რომ არსებითი ეკოლოგიური პროცესების, კულტურული ხელშეუხებლობის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების და სიცოცხლის ხელშესაწყობი სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობასთან ერთად ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიური მოთხოვნები დაკმაყოფილდეს.

სწორი, ინტეგრირებული პოლიტიკის განხორციელება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გრძელვადიან პერიოდში ქვეყანას მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს. გაზრდის ადგილობრივების შემოსავალს, შექმნის სამუშაო ადგილებს, როგორც კონკრეტულ დარგში, ისე მომიჯნავე სექტორებში, გაზრდის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, უცხოური ვალუტის შემოდინებას შეუწყობს ხელს, მცირდება ადგილობრივი ვალუტის ინფლაცია, გაიზრდება ბიუჯეტში შემოსულობებიც გადასახადების სახით. ტურიზმის მდგრადი განვითარება მიგრაციის მაშტაბს ამცირებს რეგიონებში. ის

ტურისტულ ადგილებში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გაზრდას უწყობს ხელს, იმპორტული საქონლის შემოდინებას ამცირებს და მომსახურების სფეროს ავითარებს. ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად სახელმწიფო ახდენს კულტურული მემკვიდრეობის ეფექტიან პრევენციას, შესაძლებელი ნეგატიური ეფექტების შეზღუდვას და ტურისტულ ადგილებში ბუნებრივი სამკურნალო რესურსების დაცვას მათი გამოფიტვის, დაბინძურების და განადგურებისგან, რადგან თავიდან იყოს აცილებული ნებისმიერი ეკოლოგიური საფრთხე, ზუსტად ამიტომ გაერომ 2017 წელი გამოაცხადა საერთაშორისო წლად, რომლის დევიზიცაა: „მდგრადი ტურიზმი - განვითარებისთვის“.[2] ამით მსოფლიო ლიდერები აღიარებენ, რომ მსოფლიოს მდგრად განვითარებაში ტურიზმს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაკავებული, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური სტრატეგიული მიზნების განხორციელების.[3]

საქართველოს და მის რეგიონებს, კონკრეტულად წაღვერს როგორც ტურისტულ დანიშნულების ადგილს, განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ქვეყნის დინამიკაში საგრძნობლად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას როგორც ტურიზმის ინდუსტრიაში, ასევე მომიჯნავე სექტორებში[4]. წაღვერში ამ ზრდის ტენდენციის ასახვისთვის, საჭიროა სწორი ნიშის მოძიება, მიზნის დასახვა, გეგმის შედგენა და მისი შესრულებისკენ სწრაფვა.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები:

კვლევის მიზანი ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მეთოდით რეგიონულ ჭრილში, კერძოდ წაღვერში, ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების მიღწევის

---

[2] https://forbes.ge/news/2714/turizmis-efeqti

[3] https://www.researchgate.net/publication/325094754_mdgradi_turizmi_da_misi_roli_kveqnis_ekonomikis_mdgradobashi

[4] ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა საქართველოში. მერაბ ხოხობაია

შესაძლებლობის განსაზღვრაა, სადაც ჩართული იქნება ერთდროულად ყველა დაინტერესებული მხარე - მთავრობა, ადგილობრივი მოსახლეობა, ვიზიტორები, ბიზნეს სექტორი, ინვესტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

ნაშრომით განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ტურიზმის განვითარებისთვის პრიორიტეტების და მათი განხორციელების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- ტურიზმის მდგრადი განვითარების ეფექტიანად განხორციელების წინააღმდეგობების განსაზღვრა;
- დაბა წაღვერში ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიოანობის ანალიზი;
- წაღვერის ტურისტული პოტენციალის და ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესწავლა;
- დაბა წაღვერში მდგრადი ტურიზმის განვითარების როლი ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივ გარემოში;
- ტურიზმის ინდუსტრიის როლისა და მნიშვნელობის შეფასება დაბა წაღვერის ეკონომიკის განვითარებაში;
- საჯარო და ჯერძო სექტორის, თემის, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობის როლი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში;
- ტურიზმისა და რესურსებით მოსარგებლე სხვა დარგების ჰარმონიული თანაარსებობის როლი მდგრადი ტურიზმის განვითარებაში.
- ტურიზმთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული სექტორების განვითარების როლი ტურიზმის განვითარების მისაღწევად

კვლევის საგანი და ობიექტი:

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ტურიზმის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული და თანამონაწილეობითი მიდგომები დაბა წაღვერში. კვლევის ობიექტია

ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობითი მიდგომის გავლენა ტურიზმის განვითარებაზე, რაც შესაბამისად აისახება რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკაზე.

კვლევისას გამოყენებული მეთოდები:

კვლევა ჩატარდა სტუდენტთა საველე პრაქტიკის ფარგლებში. პრაქტიკის მიზანი იყო სტუდენტებს ახალი ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება ტურიზმის მდგრადი განვითარების სფეროში საველე კვლევ(ებ)ის ჩატარების გზით. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ორი მიდგომა: ტრანსდისციპლინური მიდგომა და ადგილობრივ თემთან და აქტორებთან/ სტეიკჰოლდერებთან თანამშრომლობის მიდგომა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიდგომები:

- საბაზო მონაცემების შეგროვება (ჯგუფურად, ზონური პრინციპით);
  - ძირითადი თემატური მიმართულებებისათვის მონაცემების შეგროვება (ინტერვიუები);
  - მონაცემების ანალიზი და პრეზენტაციები; რეკომენდაციების შემუშავება;
  - შედეგების საფუძველზე სისტემური ანალიზისა და განვითარების სცენარის დრაფტის შემუშავება.
- სტეიკჰოლდერებთან თანამშრომლობა:
  - დაფინანსების მაძიებელი სტეიკჰოლდერების იდენტიფიკაცია;
  - დახმარება აპლიკაციის დაწერაში.

საველე კვლევის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის მოძიება და ანალიზი შემდეგი მიმართულებებით:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისები;
2. ტურიზმის კავშირი სხვა სექტორებთან;
3. რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის;
4. მენეჯმენტისა და განვითარების გამოწვევები (სტეიკჰოლდერებისა და სტუდენტების ხედვა)

პრაქტიკა ჩატარდა საერთაშორისო პროექტის -Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region/CaucaSusT - მხარდაჭერით. პროექტის აქტივობები განხორციელდა სამი მიმართულებით: მოსახლეობის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა, ტურისტული და სერვის ობიექტების დაფიქსირება და ლანდშაპტური და კულტურული ძეგლების იდენტიფიკაცია. მისი ფორმატი მოიცავდა შემდგომ ეტაპებსა და აქტივობებს:

- მოსამზადებელი ეტაპი: ლოგისტიკა, გაცნობითი ლექციები, ორგანიზაციული საკითხები;
- ჩასვლა წაღვერში; სტეიკჰოლდერებთან პირველი შეხვედრა; საბაზო მონაცემების შეგროვება; საგრანტო აპლიკაციის მსურველი სტეიკჰოლდერების იდენტიფიკაცია
- თემატური მონაცემების შეგროვება და დამუშავება-ანალიზი; სტეიკჰოლდერების დახმარება აპლიკაციის შედგენაში
- სისტემური ანალიზი და განვითარების სცენარზე მუშაობა; წინასწარი რეპორტინგი; სტეიკჰოლდერებთან შემაჯამებელი შეხვედრა

კვლევის მეთოდი - კვლევის ჩატარების მიზნით წაღვერის თემის ტერიტორია დავყავით 4 სეგმენტად: დაბა წაღვერის ცენტრალური ნაწილი, დაბა წაღვერის ცენტრალური გზის ჩრდილოეთი ნაწილი, ცემი და კეჩხობი, მზეთამზე და ტიმოთესუბანი.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. ჯამში გამოიკითხა 80 ადამიანი. რაოდენობრივი კვლევის მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის გამოყენებით. ინტერვიუების გარდა მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, შესწავლა და მნიშვნელოვანი ტურისტული და სხვა დანიშნულების ობიექტების დატანა რუკაზე გეორეფერენსირების მეთოდით.

რითი გამოირჩევა მოცემული სამაგისტრო ნაშრომი;

ნაშრომი შესრულებულია „მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად“ ანუ ტრანსდისციპლინური მიდგომით ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რაც წარმოადგენს კომპლექსური პრობლემის შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოზიციებიდან და ამას ემატება პრაქტიკული ცოდნის შერწყმა თეორიულ ცოდნასთან. მეცნიერული თვალსაზრისით კვლევაში ჩართული იყვნენ ბიზნესის (ტურიზმი), გეოლოგიის, გეოგრაფიის და სოციოლოგიის პროფესორები და სტუდენტები. პრაქტიკული ცოდნა კი მიღებულია უშუალოდ ადგილობრივ მოსახლეობისგან, ორგანიზაციებისგანს, დამსვენებლებისგან და ადგილობრივი მთავრობისგან, რომლებსაც აქვთ უშუალო კავშირი გამოსაკვლევ პრობლემატიკასთან.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები:

კვლევისათვის გამოყენებულ მონაცემთა ბაზას წარმოაგდენს: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზები და ქართველი და უცხოელი მკვლევრების გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომები.

1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ფუნდამენტური საფუძვლები

1.1. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა და მისი განხორციელების მექანიზმები

ტურიზმში მდგრადი განვითარების კონცეფცია გულისხმობს მის ისეთ განვითარებას, რომელიც ტურისტთა მიმდინარე მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ამავე დროს ინარჩუნებს შესაძლებლობას მომავალი თაობის ტურისტული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. მდგრადი განვითრება აუცილებლად წინასწარაა დაგეგმილი და ითვალისწინებს გარემოს სამ კომპონენტთან კავშირს, კერძოდ, ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან. ამ კავშირში იგულისხმება, როგორც მისი ზეგავლენა გარემოზე, ასევე გარემოს ზეგავლენა მასზე. გარდა ამისა, ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია გათვალისწინებული და პროცესში ჩართული იყოს ყველა დაინტერესებული მხარე და გათვალისწინებული იყოს მათი ინტერესები და იდეები.

სქემა N 1.1



UNWTO-ს (მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, გაეროს სპეციალიზებული ორგანო, რომელიც არის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ტურიზმის სფეროში) საკონსულტაციო განყოფილება დიდ აქცენტს აკეთებს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და მონაწილეობითი პროცესის ჩამოყალიბებაზე.

დაინტერესებული მხარეების ურთიერთობა და ჩართულობა მოიცავს ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კონსულტაციებს, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალება მიეცეს აქტიურად ჩაერთოს პროექტში თავისი პროგრესის ყველა ეტაპზე, მათ შორის ტურიზმის განვითარებისა და მენეჯმენტის გეგმების მომზადებაში, საპროექტო

წინადადებების მომზადებასა და ტურისტული საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ტურიზმის და ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვისათვის. დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობა საშუალებას იძლევა პირდაპირი კომუნიკაციის, უკეთესი თანამშრომლობის, კომპლექსური დამოკიდებულებისა და ურთიერთდამოკიდებულებისა. როგორც ტურიზმის განვითარება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების დაცვა, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი უნდა იყოს დაფარული. ასევე მათი ჩართულობა ადრეულ ეტაპზე ხელს უწყობს პროექტის გათავისებას, საკუთარი მნიშვნელობის გააზრებას და ამდენად პროექტის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობას და მდგრადობას.

ბიომრავალფეროვნებისა და ტურიზმის შესახებ სახელმძღვანელოები ასევე ხაზს უსვამენ როგორც ადგილობრივების მონაწილეობის მნიშვნელობას, ასევე მთავრობის და დეველოპერებისას. მნიშნელოვანია უზრუნველყონ სრული ჩართულობა და პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია ადექვატურად აცნობონ ყველას, ვინც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტზე.[5]

საქმიანობას, რომელიც ფუნქციონირებს ტურიზმის სფეროში აქვს შესაძლებლობა დიდი წვლილი შეიტანოს სამივე - ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური - მიმართულებების გაუმჯობესებაში. ის საკმაოდ მჭირდორაა კავშირში სხვა სექტორებთანაც. და აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მის დაინტერესებულ მხარეებს უქმნის შესაბამისი სარგებელს სტიმულისთვის:

- დამატებითი სამუშაო ადგილები;
- ახალი საწარმოები;

[5] Communication and Participatory Approach - http://www2.unwto.org

- დამატებითი გასაღების ბაზრები ადგილობრივი პროდუქციისათვის;
- დამატებითი შემოსავლები;
- ინფრასტრუქტურის, მოდერნიზაცია;
- ახალი პროფესიები;
- ახალი ტექნოლოგიები;
- საზოგადოების ინფორმირება გარე სამყაროსა და კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებისა და მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ;
- მიწათსარგებლობის ახალი მიდგომები;

ტურიზმის გაფართოება დასაშვებია მარტო იქ, სადაც არსებობს რეგიონული დაგეგმვა და სადაც ყველა პროექტი ჩართულია ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმაში. ტურიზმის მიერ რაიონისთვის ეკონომიკური მოგების მიღებისთვის მისი განვითარება უნდა იყოს მდგრადი და ამასთან, თავისი ბუნებით აუცილებლად უნდა იყოს დამზოგველი.

ტურიზმის განვითარების კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონის განსახლებას, მის ტრადიციულ არქიტექტურას, კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყველა მხარე აღნიშნული კუთხით რესურსული პოტენციალის სიმდიდრით გამოირჩევა.

ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებისას ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის რეკომენდაციის მიხედვით აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- რესურსების მდგრადი მოხმარება უმნიშვნელოვანესია, რადგან სხვანაირად შეუძლებელია ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების განვითარების ხელშეწყობა და დაცვა;
- ტურისტულ ტერიტორიებზე დატვირთვისა და ნარჩენების შემცირების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რადგან რესურსების ეფექტიანად მოხმარება და ნარჩენების

შემცირება ხელს შეუწყობს პროდუქტის ხარისხის გაზრდას და შეამცირებს ბუნებისთვის მიყენებულ ზიანს;

- ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია;
- ტურიზმის ინტეგრირება დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული საქმიანობის წარმატებას სოციალურ და ეკონომიკური კონცეფციის შემუშავებისას;
- ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა ხელს უწყობს ტურიზმის მრავალფეროვან ფორმებს, მის განვითარებას, ამცირებს გარემოზე მისაყენებელი ზიანის კომპენსაციას, იცავს და ამცირებს კულტურულ ძეგლებზეც და ველურ გარემოზეც უარყოფით ზემოქმედებას;
- ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობას მოაქვს როგორც ეკონომიკური სარგებელი და გარდა ამისა საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ტურისტულ პროდუქტს;
- კონსულტაციები და თანამშრომლობა, აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილებისთვის;[6] (თ. გარდავა, 2016)

გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტის ქსელებმა (SDSN), ცნობილი ეკონომისტის ჯეფრი საქსის ხელმძღვანელობით შეიმუშავა მდგრადი განვითარების 10 ძირითადი მიზანი. ამ მიზნების საფუძველზე შემუშავდა საბოლოო დოკუმენტი, სახელწოდებით „გარდავქმნათ მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. მასში აღნიშნულია, რომ ეს მიზნები არის სამოქმედო გეგმა ხალხის კეთილდღეობისთვის, დედამიწისთვის, ასევე მსოფლიო მშვიდობისა და თავისუფლებისთვის. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომელიც დღეს ცხადდება ჩვენს მიერ, არის ამ ახალი და უნივერსალური დღის წესრიგის ამბიციისა და მასშტაბის დემომონსტრაცია. მიზნები არიან განუყოფელი

[6] https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/gardava-tina2/home/kulturuli-turizmi

და ინტეგრირებული და აბალანსებენ მდგრადი განვითარების 3 განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურს და ეკოლოგიურს“. გათვლილია, რომ ეს მიზნები და ამოცანები მომდევნო 2015-2030 წლებში ასტიმულირებენ მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს მოქმედებებს იმ სფეროებში, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც კაცობრიობისათვის, ისე დედამიწისთვის. „ჩვენ გადავწყვიტეთ, 2030 წლამდე დავამთავროთ სიღატაკე და შიმშილი ყველგან; ვებრძოლოთ უთანასწორობას ქვეყნებში და ქვეყნებს შორის; ვაშენოთ მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებები; დავიცვათ ადამიანის უფლებები და ხელი შევუწყოთ გენდერულ თანასწორობას, ქალთა და გოგონათა უფლებების რეალიზებას; უზრუნველვყოთ პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების უწყვეტი დაცვა. ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ მდგრადი, ინკლუზიური და განგრძობილი ეკონომიკური ზრდის, გაზიარებული კეთილდღეობის, ყველას ღირსეული სამუშაოთი უზრუნველყოფის პირობები, ეროვნული განვითარების სხვადასხვა დონისა და შეძლებების გათვალისწინებით“, – ნათქვამია დოკუმენტში.

ტურიზმის მდგრადი განვითარების გეგმისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მე-8 პუნქტი, რომელიც გულისხმობს სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სრულ და ნაყოფიერ დასაქმებას და სამუშაოს ყველასათვის. 8.9. პუნქტი გულისხმობს 2030 წლისათვის ქვეყნებში შემუშავდეს და დაინერგოს მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევს ადგილობრივ კულტურასა და პროდუქტებს და შექმნის სამუშაო ადგილებს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამა ამოცანის შესასრულებლად რეგიონების ინფრასტუქტურის განვითარებაა, რაც ასახულია მდგრადი განვითარების მიზნებში. მერვე მიზნის ამოცანებია აგრეთვე ეკონომიკის ზრდისა და გარემოს დეგრადაციის გამიჯვნა, მდგრადი მოხმარება და წარმოების ათწლიანი პროგრამა; „სამუშაო ადგილების გლობალური პაქტის“ ILO დანერგვა და სხვა.[7]

[7] http://european.ge/dghis-wesrigi-mdgradi/

განვითარება არის პროცესი, რომელიც შედგება რიგი ღონისძიებებისგან, რომლებიც არ შეიძლება გამოყოს ადგილობრივი საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერი სხვა ასპექტისგან. მისი ძირითადი წვლილი არის არჩევანის გაფართოება საზოგადოების ყველა წევრისთვის დისკრიმინაციის გარეშე.

ტურიზმის მდგრადი განვითარება უნდა იყოს მონაწილეობითი "Bottom up" პრინციპით, სადაც ჩვეულებრივ ხალხს, წაღვერის საზოგადოების ყველა წევრს, შეუძლია გაიგოს, დაიწყოს და გააკონტროლოს პროცესი.[8]

მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელი და მნიშვნელოვანია წაღვერში ტურისზმის განვითარება მიმდინარეობდეს მკაცრი კონტროლის ქვეშ, ისე განვითარდეს ნაკრძალები, სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტები, აშენდეს სასტუმროები თუ კვების ობიექტები, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს მომავალი თაობისთვის.

1.2. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და სოციალური მუშაობის პრაქტიკის გაზრდა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან გახდა აქტუალური. ყურადღება მახვილდებოდა მოსახლეობის და სტეიკჰოლდერებისთვის ორმხრივად სასარგებლო აქტივობებზე. განსაკუთრებით სასარგებლოა ყველა დაინტერესებული მხარის ინოვაციური იდეების, განხორციელების გეგმების და მისაღები სარგებლის ფორმულირება, შეკრება და მისი შესრულების ორგანიზება. თუმცა ცხადია, ტურიზმის მდგრადი განვითარება თანამონაწილეობის პრინციპით უამრავ საფრთხეს შეიცავს, დაუგეგმავმა მოქმედებებმა შესაძლოა სერიოზული ნეგატიური გავლენა მოხდენოს გარემოზე.

[8] sustainabledevelopment.un.org

რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმატების ფუნდამენტური ბაზისია პროცესებში საზოგადოების, ბიზნესის, პოლიტიკის მგეგმავების მაქსიმალური ჩართულობა. ტურიზმის მკვლევარები ედგელი და სვანსონი (David L.Edgell, Jason R. Swanson) ხაზს უსვამენ იმას, რომ მთავრობასთან ერთად ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოებრივი, კერძო და არასამთავრობო სექტორი. მათი ჩართულობა პროცესებში საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ არსებული სიტუაცია და მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში შევიმუშავოთ გეგმები კონკრეტული მიმართულებით. იმისათვის, რომ პროცესები წარიმართოს წარმატებულად, აუცილებელია კვლევების განხორციელება. სწორედ მეცნიერული ანალიზის, კვლევის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკის ძირითადი დეტერმინანტების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებას. კვლევის პროცესში უნდა მოხდეს ეკონომიკური, გარემოს დაცვის, სოციალური, ადამიანური, ფინანსური რესურსების და სხვა ფაქტორების გაანალიზება. ბუნებრივია, რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაა. ტურიზმის ინდუსტრიას ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩნია.

დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთობა და ჩართულობა მოიცავს ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, კონსულტაციებს და თანამშრომლობას გადაწყვეტილების მიღებაში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალება მიეცეს აქტიურად ჩაერთოს პროექტში თავისი პროგრესის ყველა ეტაპზე, მათ შორის ტურიზმის განვითარებისა და მენეჯმენტის გეგმების მომზადება პროექტის წინადადებების მომზადებასა და ტურისტული საქმიანობისა და განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

ტრანსდისციპლინური მიდგომა - წარმოადგენს კომპლექსური პრობლემის შესწავლას მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოზიციებიდან, რასაც ითვალისწინებს ინტერდისციპლინარული კვლევა, მაგრამ, ამას ემატება პრაქტიკული ცოდნის შერწყმა თეორიულ ცოდნასთან. აღნიშნული პრაქტიკული ცოდნა შეიძლება გააჩნდეთ

ადგილობრივ მოსახლეობას, მთავრობას, კომპანიებს და სხვა, რომლებსაც აქვთ კავშირი გამოსაკვლევ პრობლემატიკასთან.

ტურიზმთან მიმართებაში, ტრანსდისციპლინური მიდგომა ასევე მდგომარეობს პრაქტიკაში მოქმედი დაინტერესებული მხარეების ემპირიული ცოდნის ინტეგრირებაში ტურიზმის მდგრადი განვითარების მეთოდოლოგიაში. პრაქტიკული ცოდნის გარდა, ამ სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მულტიდისციპლინური თეორიული ცოდნის ინტეგრირება, რადგან ტურიზმი, ზოგადად, ატარებს გამოკვეთილად კომპლექსურ ხასიათს და მისი ცალკეული ასპექტები შეისწავლება ბევრი საბუნებისმეტყველო, სოციალური და ეკონომიკური მიმართულებების მიერ განცალკევებულად. ორივე აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვანია პრობლემების რაციონალური გადაჭრის გზების გამოსავლენად და დარგის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ტურიზმის სფეროში ტრანსდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება თუ გავითვალისწინებთ გარემოს ზეგავლენას ტურიზმზე. გარემოში მიმდინარე ცვლილებები შეიძლება გამოწვეული იყოს ტურიზმის ზეგავლენთ და იმ ცვლილებებითაც, რომლებიც ტურიზმზე არ არის დამოკიდებული. ამ უკანასკნელის მაგალითებია კლიმატის სეზონური და მრავალწლიური ცვლილებები, ეკონომიკის დივერსიფიკაციის და კონკურენტული დარგების განვითარების ტენდენციები, საზოგადოებაში აღმოცენებული ახალი სოციალური და კულტურული ტენდენციები.

ტრადიციულად, ტურიზმის განვითარების გეგმები შემუშავებული იყო ექსპერტების მიერ, ადგილობრივების მონაწილეობა მოკლე ინტერვიუებით შემოიფარგლებოდა, რაც უზრუნველყოფდა მცირე არსებითი წვლილის შეტანას საბოლოო დიზაინში. შედეგად, ადგილობრივი პრიორიტეტები ხშირად არ იყო წარმოდგენილი, წამყვანი პრობლემების ჩამოყალიბებასა და მთავრობების მიერ გამოყოფილი შეზღუდული ფინანსური რესურსების ათვისებასა და მოლაპარაკებებთან მიმართებაში.

ტურიზმის მდგრადი განვითარება შესაძლოა შეუძლებელი გახდეს, რაც გამოწვეული იქნება ძირითადი დაინტერესებული ჯგუფების მხარდაჭერის ნაკლებობით,

მათ შორის ადგილობრივი და სახელმწიფო სამთავრობო სააგენტოები, კერძო სექტორი, ადგილობრივი თემები, საზოგადოება და არასამთავრობო ორგანიზაციები, ინვესტორები და სხვა. ტურიზმის მდგრადი განვითარების გეგმის წარმატებით განვითარება და განხორციელება დაეყრდნობა აქტიური დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და კონსენსუსის მიღწევას ყველა მონაწილეს შორის. ჩართულობა საშუალებას იძლევა სწორად დაისახოს მათი პრიორიტეტები, რაც მათი ფსონის გაზრდას და საბოლოო მხარდაჭერას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, მნიშვნელობანია თითოეული ჯგუფის ცოდნისა და უნარების გამოყენება[9](James E. N. Sweeting, Aaron G. Bruner, Amy B. Rosenfeld, 1999).

1.3. მდგრადი განვითარების პოლიტიკის სოციალური და ეკონომიკური შედეგები;

ტურიზმი, როგორც კომპლექსური მიმართულება უკავშირდება ეკონომიკის, სოციალურ და გარემოსდაცით საკითხებს. ეს იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს ამ დარგის ცალკეული ასპექტების ასახვა სხვადასხვა ხელშეკრულებებში და პროგრამებში; ტურიზმი, როგორც ვაჭრობისა და ინვესტიციების ერთ-ერთი მიმართულება, საჭიროებს ამ საკითხების ასახვას პოლიტიკაში, მათ შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებში და პროგრამებში. ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ ზოგჯერ ტურიზმის განვითარება განიხილება მხოლოდ სოციალურ ჭრილში.

ტურიზმის ინდუსტრიას დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფის, სამუშაო ადგილების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საშუალო და შორეული პერსპექტივების გათვალისწინებით. ტურიზმის მდგრად განვითარებას შეუძლია გახდეს რეგიონში სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული სარგებელი

[9] THE GREEN HOST EFFECT: AN INTEGRATED APPROACH TO SUSTAINABLE TOURISM AND RESORT DEVELOPMENT - semanticscholar.org

სწაფად ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრია არის შრომა, ის მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე სექტორებთან.

როგორც განვითარებად ქვეყნებს ახასიათებს, საქართველოსთვისაც პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის შედარებით დაბალი ეკონომიკური აქტივობის მქონე ადგილებიდან მუნიციპალურ ცენტრებში მიგრაცია, სწორედ ტურიზმია ის საშუალება, რომელიც შეძლებს ადგილობრივების დამაგრებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ტურიზმს შეუძლია მოახდინოს სტიმულირება სხვა ეკონომიკური აქტივობების და სექტორების, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვა.

ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა აღირიცხება რამოდენიმე განზომილებაში. კერძოდ, მისი წვლილით საგარეო ვაჭრობაში, ინვესტიციებში, ასევე მთლიან შიდა პროდუქტში. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (World Travel and Tourism Council – WTTC), არის ორგანიზაცია, რომელიც უკვე 25 წელია მსოფლიოს 185 ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენას სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით აფასებს. მისი გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% იყო და მოსალოდნელია რომ აღნიშნული მაჩვენებელი მომდევნო 10 წლის განმავლობაში 10.5%-მდე გაიზრდება.

მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის პირდაპირი კონტრიბუცია ასახავს ეკონომიკურ აქტივობას, რომელსაც ქმნიან სასტუმროები, ტურისტული ორგანიზაციები, ავიაკომპანიები, სამგზავრო საშუალებები, რესტორნები. მთლიან კონტრიბუციაში კი შედის ყველა სფერო, რომელიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან.

დასაქმებაში ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორის მთლიანი კონტრიბუცია გასულ წელს 27%-ს შეადგენდა, რაც 483 000 სამუშაო ადგილს მოიცავს. მათ შორისაა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლის შექმნასაც ხელი ტურიზმის ინდუსტრიამ შეუწყო. პატარა, განვითარებად ქვეყნებში, ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია, როგორც საქართველოში.

2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა და ტურიზმი

2.1. თემზე დაფუძნებული ტურიზმის როლი ტურისტული დანიშნულების ადგილის მდგრად განვითარებაში

თემის მონაწილეობა ტურიზმის დაგეგმვის პროცესში განიხილება, როგორც მდგრადი ტურიზმის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ამასთან, არსებობს რამდენიმე კვლევა, რომელიც აღწერს მატერიალურ და პრაქტიკულ გზებს ამ მონაწილეობის გაზრდის ან გაზომვის მიზნით. თემიში მოიაზრება ინდივიდები, რომელთაც გააჩნიათ კოლექტიური პასუხისმგებლობისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

თემზე დაფუძნებული ტურიზმი არის ტურიზმი, რომელშიც ადგილობრივი მოსახლეობა (ხშირად სოფლის, ღარიბი და ეკონომიკურად მარგინალიზირებული) ხელს უწყობს ვიზიტორების მოწვევას თავიანთ საცხოვრებელ ტერიტორიაზე. მაცხოვრებლები შემოსავალს იღებენ, როგორც მიწათმფლობელები, მეწარმეები, მომსახურებისა და პროდუქციის მიმწოდებლები და თანამშრომლები.

საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმი საშუალებას აძლევს ტურისტს აღმოაჩინოს და უკეთ გაიცნოს ადგილობრივი ბუნება, ტრადიციები, კულტურა. საგადოება გაითვალისწინებს ტურიზმის გზით მათ ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაზე განთავსებულ კომერციულ და სოციალურ მნიშვნელობას და ეს ხელს შეუწყობს ამ რესურსების დაცვას.

საზოგადოებამ შეიძლება მოიძიოს პარტნიორი კერძო სექტორიდან, რომელიც უზრუნველყოს კაპიტალით, კლიენტებით, მარკეტინგით მომსახურებას.

თემი გულისხმობს და მოიცავს ინდივიდებს, რომლებიც ინაწილებენ კოლექტიურ პასუხისმგებლობას და აქვთ უნარი მიიღონ გადაწყვეტილებები ერთობლივად.

რეზიდენტები ჩართულები არიან ტურისტული პროდუქტის განვითარებაში და იღებენ მოგებას როგორც მეწარმეები, სერვისის მიმწოდებლები და დასაქმებულები. ადგილობრივ რეზიდენტებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ეროვნულ და საერთაშორისო ტურ-ოპერატორებთან და სხვა ტურისტულ ორგანიზაციებთან საჯარო და კერძო სექტორიდან, იმისათვის, რომ განავითარონ და ხელი შეუწყონ მათ შეთავაზებებს. თემებს, რომლებსაც სურს განავითარონ მდგრადი ტურიზმი, ხშირ შემთხვევაში მხარდაჭერილია პროექტებით, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის სრულყოფას, არამედ ადგილობრივი რეზიდენტების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

თემზე დაფუძნებული ტურიზმი ტურისტებს საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ ბუნება და ველური გარემო, ასევე, ადგილობრივი რეზიდენტების ყოველდღიური ცხოვრება და ტრადიციები. ადგილობრივი რეზიდენტები კარგად უნდა აცნობიერებდნენ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და ღირებულებას, იმისათვის რომ დაიცვან ისინი და გამოიყენონ ტურიზმის განვითარებისთვის.

თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების კონცეფცია (Community Based Tourism) სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მისი კონცეფცია მოიაზრებს განვითარების პროცესში ადგილობრივების მონაწილეობას, მათი გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას. ადგილობრივები გაიგივებულნი არიან სერვისისა თუ პროდუქტის მიმწოდებლებთან. ეკონომიკური აქტივობის ზრდის მისაღწევად აუცილებელია პროცესებში საზოგადოების ჩართულობა, რაც მოიცავს ტურიზმის ინდუსტრიასთან არა მარტო პირდაპირ, არამედ ირიბადაც დაკავშირებულ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას. ეს მეთოდი ხელს უწყობს ადგილობრივების ცოდნის ამაღლებას, მათ მიერ საკუთარი პროდუქტები განვითარებას და ტურისტული აქტივობიდან მიღებული შემოსავლების ზრდას. თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების კონცეფცია ეფუძნება ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს. ის გულისხმობს, ტურიზმის დადებითი ეფექტების წინ წამოწვას და უარყოფითი ეფექტების მაქსიმალურად შემცირებას. საზოგადოებაზე, თემზე დაფუძნებულ ტურიზმის განვითარების კონცეფციას და მიდგომას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს რეგიონებს,

ინფრასტრუქტურის სრულყოფის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. (მ. ხოხობაია, 2016)[10]

წარმატებული თემზე დაფუძნებული ტურიზმის პროექტის ერთერთი მაგალითია Chalalivn Ecolodge ბოლივიის ამაზონში, San José de Uchupiamonas-სა და Conservation International (CI)-ს საზოგადოების ერთობლივი ინიციატივა ბოლივიაში. 1995 წელს CI–ის მიზანი Chalalán–ის პროექტის დასაწყისში იყო სიცოცხლისუნარიანი ეკოლოგიის შექმნა, რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა და იმართებოდა ადგილობრივი მენეჯერების და თანამშრომლების მიერ. ამის მისაღწევად, CI სოფლის მოსახლეობას რთავდა ფართო სპექტრის საქმიანობაში, მათ შორის, მარკეტინგის და მენეჯმენტის, სახლების შენახვის, საკვების მომზადებისა და ტურების მომზადების კუთხით. 2001 წლის თებერვალში საზოგადოებამ მიიღო ადგილის სრული საკუთრება CI–დან. დღეს 74 ოჯახი იღებს რეგულარულ ეკონომიკურ სარგებელს ეკოლოგიის სამსახურიდან და მენეჯმენტიდან და საკმაოდ წარმატებულად ართმევენ თავს საქმიანობას.[11]

2.2. ტურისტული დანიშნულების ადგილის სისტემური ანალიზი და პოლიტიკის დაგეგმვა

სისტემური ანალიზი ახორციელებს პროცედურების შესწავლას, რათა მოხდეს საქმიანობის მიზნების იდენტიფიცირება და შეიქმნას სისტემები და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას ეფექტური გზით. ის განიხილება პრობლემის გადაჭრის ტექნიკად, რომელიც შლის სისტემას მას შემადგენელ ნაწილებად, ამ ნაწილების შესწავლის მიზნით, თუ რამდენად სწორად მუშაობს ესა თუ ის კომპონენტები და როგორ ურთიერთქმედებს მათი მიზნის მისაღწევად. სისტემის ანალიზის მეთოდოლოგიას მიმართავენ სისტემის მიმოხილვისთვის და ქმნიან საერთო სურათს.

[10] ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა საქართველოში. მერაბ ხოხობაია

[11] http://caucasust.boku.ac.at/ka/ჩვენს-შესახებ/თემზე-დაფუძნებული-ტურიზმ/

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სისტემა არის ნაწილებად დაყოფა მისი შესაწავლისა და ინტერპრეტაციის მიზნით და დეტალური გამოკვლევა. ეს ნაწილები შეადგენს სისტემის კომპონენტებს, რომლის საფუძველზეც ანალიზი ახდენს მთელი სისტემის შესწავლას.[12]

სისტემის ანალიზს იყენებენ ყველა სფეროში. ის იდენთიფიცირებას უკეთებს გადასაჭრელ პრობლემებს და ქმნის ამ პრობლემების გადაჭრის ერთგვარ არქიტექტურას. სისტემური ანალიზისას ჩატარებული ერთგვარი გამოძიება ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებს სწორი მოქმედებების განხორციელებაში. სისტემური ანალიზი განისაზღვრება როგორც პროცედურა, რომელიც პრობლემების თანმიმდევრულ მთლიანობას ქმნის მისი ცალკეულ კომპონენტებისა და ელემენტების გაერთიანებით. კერძოდ, სისტემური ანალიზი არის ტექნიკა, რომელიც შლის სისტემას შემადგენელ ნაწილებად მათი უკეთ შესწავლის მიზნით, თუ რამდენად სწორად მუშაობს ეს კომპონენტები და როგორ ურთიერთქმედებს თითოეული საერთო მიზნის მიღწევაზე. შემდეგ კი სინთეზი აერთიანებთ ამ ცალკეულ ელემენტებს და კომპონენტებს რათა შეიქმნას თანმიმდევრული მთლიანობა. თითოეული განხორციელებული ეტაპი მოითხოვს მჭიდრო ურთიერთობას ყველა დაკავშირებულ მხარესთან, რათა გათვალისწინებული იყოს მათი როლი ცალკეულ ელემენტებში.

სისტემური ანალიზი გამოიყენება არსებულ სისტემაში პრობლემის გამოსასწორებლად, არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად, ახალი სისტემის დასანერგად, გარე ჯგუფებისთვის გადაწყვეტილების მიღების გამარტივებისთვის ან კონკურენციული ცვლილებებისას.

სისტემური ანალიზით მიიღწევა გაუმჯობესებული მომსახურება, უკეთესი შესრულება, ინფორმირებულობა, ძლიერი კონტროლი ნაკლები დანახარჯებით.

სისტემური მიდგომა გამოიყენება ტურიზმის დაგეგმვისას. ტურიზმი სულ უფრო და უფრო მზარდი ინდუსტრია ხდება, იზრდება მისი აქტივობების მრავალფეროვნებაც,

[12] https://www.sciencehq.com/computing-technology/system-analysis-and-design.html

რამაც მიგვიყვანა მისი დაგეგმვის აუცილებლობამდე, რაც ასევე მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. დაგეგმვის მთავარი მიზანი ტურიზმის დადებითი და უარყოფითი ეფექტების გამოვლენა და შესაბამისად მათი შეზღუდვა ან ხელის შეწყობა. ამიტომაა აუცილებელი დაგეგმვისას სისტემური მიდგომის გამოყენება, მისი ყველა პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული ელემენტების გათვალისწინება.

საქართველოში რეგიონების განვითარების სტრატეგიები ჩამოყალიბებულია 2014-2021 წლისათვის. სტრატეგიული გეგმები განსაზღვრავს განვითარების მიზნებს გრძელვადიანი თვალსაზრისით. რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზანია - მდგრადი ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, გასაღების ახალ ბაზრებზე დამკვიდრება და ა.შ. წარმოდგენილ დოკუმენტებში ტურიზმი ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებადაა მოხსენიებული. დღეს არსებული გამოწვევები და არასტაბილური გარემო მოითხოვს საკითხების სიღრმისეულად გაანალიზებას და სიტუაციიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. გეგმების მიხედვით აუცილებელია, მიმართულებების მიხედვით დაკონკრეტებული იყოს შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები და კონკრეტულ მოქმედებაზე პასუხისმგებელი ორგანოები. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს არსებული პრობლემები ხშირ შემთხვევაში საქართველოს უმეტესი რეგიონებისათვის იდენტურია. საიდანაც შესაძლებელია გამოვყოთ, ადამიანური ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის არასაკმარისი ცოდნა, ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი რეგიონული და მუნიციპალური პროექტების განხორციელების აუცილებლობა რესურსების განვითარების დაბალი დონე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, კულტურული და ისტორიული ძეგლების სუსტი კომერციალიზაცია, და სხვა.

2.3. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის როლი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებაში

ტურიზმის პოლიტიკის განვითარებისას დაინტერესებული მხარის მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგანაც ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაციები და ინტერესები, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორიდან. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, მოიცვან სახელმწიფო მარეგულირებლები, ბიზნესის მფლობელები, საჯარო, კერძო და არაკომერციული ორგანიზაციები, ყველა, ვინც ჩართულია ან უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ტურიზმის განვითარების საქმეში ჩართული ბევრი ორგანიზაციის განსხვავებული მიზნები ართულებს ტურიზმის პოლიტიკის კოორდინირებას და განხორციელებას, ამიტომ, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული პოლიტიკის ქონა.

ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის აქტიურ თანამშრომლობაზე, რასაც ბევრი ქვეყნის მაგალითი ადასტურებს. დღესდღეობით საქართველოში კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის თანამშრომლობა ტურიზმის სექტორში საწყის ეტაპზეა. ტარდება ტრენინგები ორივე მხარისთვის, მათი ფუნქციების და თანამშრომლობის როლის გასაანალიზებლად. კერძოდ, ქალაქ ბათუმში 2018 წელს ორგანიზაცია „საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციების ხელშეწყობის ცენტრის“ ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტის – Black Sea Network forSustainable Tourism-Strategies for joint tourism marketing and development inthe Black Sea region (BS NST) ფარგლებში გაიმართა სამდღიანი ტრენინგი/ვორქშოფი „PPP-Public Private Partnershipin Tourism/კერძო და სახელმწიფო სექტორის თანამშრომლობა ტურიზმის სექტორში.“ აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირის შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის ფარგლებში და წარმოადგენს რეგიონალურ პროექტს 5 ქვეყნის (საქართველო, მოლდავეთი, ბულგარეთი, უკრაინა და თურქეთი) ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია და პროცესების განვითარებისთვის გარკვეული დროცაა საჭირო, რომ ორივე სექტორმა კარგად

გააცნობიეროს მსგავსი თანამშრომლობის დადებითი შედეგები და კიდევ უფრო გააქტიურდეს თანამშრომლობა.

ტურიზმის სექტორში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული ორგანიზაციების, კომპანიების, ინდივიდების მიზნების ბალანსირება დაგეგმვის პროცესის უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს. ტურიზმის განვითარების სტრატეგიის წარმატებისთვის აუცილებელია, რომ მასში გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორის (საზოგადოების) მოსაზრებები და დაგეგმვის პროცესი უნდა იყოს მხარეებთან კონსულტაციურ მიდგომასა და კონსენსუსზე დაფუძნებული. ტურიზმის დაგეგმვა გრძელვადიანი და განმეორებადი პროცესია და არ მოიცავს მხოლოდ ერთ ეტაპს, მისი პერიოდული მოდიფიცირებაც საჭიროა. კერძო და სახელმწიფო სექტორს შორის თანამშრომლობა ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანესი საშუალება/ფორმაა, მაგრამ ეს საჭიროებს მრავალ წინაპირობას, ორივე მხარის სურვილს კომუნიკაციისა და პარტნიორობის კუთხით და შესაბამისი გარემოს ფორმირებას.

ტურიზმში არსებული მდგომარეობის კომპლექსურად, ერთ სურათად დანახვის მიზნით, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები შეისწავლა. შედეგად, გამოიკვეთა ხუთი მთავარი გამოწვევა და მასთან გამკლავებისას სახელმწიფოსა და კერძო სექტორის როლი:

1. მომსახურების ხარისხის განვითარება

კადრების კვალიფიკაციის ამაღლება შესაძლებელია ტურიზმის დარგში აკადემიური განათლების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგების ხელშეწყობით. ხელისუფლებას შეუძლია წაახალისოს მსოფლიოში წარმატებული სასწავლო პროგრამების გაზიარება და დანერგვა. საჭიროა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამების განხორციელება ტურისტული კომპანიებისა და ამ სფეროს სხვა ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, რომლებითაც მოხერხდება გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება. მნიშვნელოვანია უცხო ენების სპეციალური პროგრამების შემუშავება და სწავლება როგორც კერძო სექტორის, ასევე საჯარო სექტორის იმ წარმომადგენლებისთვის, ვისაც ტურისტებთან შეხება უწევს. მათ შორის, მესაზღვრეების, პატრულისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის

თანამშრომლებისთვის. ტურისტთა კმაყოფილების ზრდისთვის მნიშვნელოვანია კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და თანამშრომლების კლიენტზე ორიენტირება. მომსახურების ხარისხის შესაფასებელი რეიტინგები წაახალისებს კერძო სექტორს. კომპანიებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საკუთარი თანამშრომლებისათვის მომსახურების სტანდარტების სწავლებას.

2. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ავიაინფრასტრუქტურის ხარისხის გაუმჯობესება. ბაზარზე მოქმედი ავიაკომპანიების რაოდენობის გაზრდა შესაძლებელს გახდის როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო ფრენების სიხშირის მატებას, ასევე საერთაშორისო პირდაპირი რეისების მიმართულებების (ე.წ. ჩარტერული რეისების) რაოდენობის გაზრდასა და, მეტი კონკურენციის შედეგად, ფასების კლებასაც. ტურისტული ნაკადების მოძრაობის მოსაწესრიგებლად საჭიროა განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი გზები. უცხოელი ტურისტებისთვის რთულია ორიენტირება გზებსა და გზაჯვარედინებზე შესაბამისი მაჩვენებელი ნიშნების გარეშე. ამიტომ აუცილებელია ტურისტული საგზაო ნიშნების ქსელის განვითარება. ტურიზმის ადმინისტრაციას შეუძლია მცირე ზომის სასტუმროების დახმარება საერთაშორისო ტურისტულ ვებგვერდებზე (booking.com, tripadvisor.com) დარეგისტრირებით და შესაბამისი კონსულტაციების გაწევით. გარდა ამისა, ტურისტული რუკებისა და გზამკვლევების, მათ შორის მობილური აპლიკაციების სახით არსებობა მნიშვნელოვნად გაამარტივებს ტურისტებისათვის არჩევანის შესაძლებლობას. კერძო სექტორს კი ამ კუთხით მოუწევს სასტუმროების კეთილმოწყობაზე ზრუნვა, სასტუმროების მრავალფეროვანი არჩევანი ტურისტული ინფრასტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. წაღვერის და მთლიანად საქართველოში არსებული საწოლი ადგილების რაოდენობა ტურისტთა მზარდი რაოდენობის მისაღებად არასაკმარისია. შესაბამისად, კონკურენტუნარიანობის რეიტინგში სასტუმროს ნომრების რაოდენობის მაჩვენებლით საქართველო 78-ე ადგილზეა. გარდა ამისა, მსოფლიოში უკვე ბევრი ქვეყანა იყენებს

ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალ კონცეფციას - საკონვენციო ცენტრებს - ტურისტთა დიდი ნაკადების მთელი წლის განმავლობაში მოსაზიდად.

3. ტურისტული შესაძლებლობების განვითარება

იმისათვის, რომ ქვეყანაში შემოსული თითოეული ტურისტი მეტ თანხას ხარჯავდეს, ტურისტული შესაძლებლობების განვითარებაა საჭირო. მიუხედავად მრავალფეროვანი ლანდშაფტისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა, დღეს საქართველო არ გამოირჩევა ტურისტული შესაძლებლობების მრავალფეროვნებით. მიზანმიმართული მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობა შესაბამის სტრუქტურებს შორის აუცილებელია სიაში კულტურული ძეგლების რაოდენობის გაზრდისთვის. ასევე სპორტული-სარეკრეაციო კომპლექსების, თემატური და გასართობი პარკების, საკურორტო კომპლექსების განვითარება ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შექმნას და დიდი რაოდენობით ტურისტების მომსახურებას. ამ ყველაფერთან ერთად, საერთაშორისო ოლიმპიადების, კონფერენციების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიების სისტემატური ორგანიზება უზრუნველყოფს არასაკურორტო სეზონებზე ტურისტების პერმანენტულ მოზიდვას. კარგად განვითარებული დარგისთვის საჭიროა სანდო და გამოცდილი ტურისტული კომპანიები, სააგენტოები და ტურ-ოპერატორები. ასევე აუცილებელია ტურისტული ავტოპარკებისა და სატრანსპორტო კომპანიების განვითარება.

4. ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესება

საქართველოს ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნით ტურისტების დაინტერესებისთვის. თუმცა, დღევანდელი განვითარების დონით, ეს დარგის სუსტი მხარეა. რესურსების მიმართ არასათანადო ყურადღებას მოწმობს კონკურენტუნარიანობის ანგარიშიც – ხმელეთის ბიომრავალფეროვნების დაცულობის მაჩვენებლით, საქართველო 114-ე ადგილზეა. ლანდშაფტის მოვლა-შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია, მუდმივად ახლდებოდეს ტყის რესურსი – იწმინდებოდეს ტყის მასივები და ირგვებოდეს ახალი ნერგები. ასევე,

მნიშვნელოვანია ახალი ტყის მასივების, პარკების, ბოტანიკური ბაღების დაგეგმვა და განვითარება

5. დარგის სწორი ორგანიზება

უნდა არსებობდეს დარგის განვითარების სტრატეგიული ხედვა და მისი განხორციელებისათვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი. მათ შორის, როგორც ინსტიტუციური მოწყობა, ასევე შესაბამისი კანონმდებლობა და რეგულაციები. ტურიზმის ადმინისტრაციის გაძლიერება, მნიშვნელოვნად გაზრდის ამ სტრუქტურის ეფექტიანობას. უნდა გაძლიერდეს არსებული და შეიქმნას ახალი დარგობრივი ასოციაციები. დარგის განვითარებისთვის აუცილებელია ასოციაციების აქტიური ჩართვა ტურიზმთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვადასხვა ინიციატივის შემუშავების პროცესში. კვლევები შესაძლებელს გახდის დარგის სრული სურათის დანახვას. შესაძლებელს გახდის დაიგეგმოს და ეფექტიანად გატარდეს ღონისძიებები. საჭიროა რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანა დარგის პრიორიტეტებთან. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტებისათვის საზღვრის გადმოკვეთა ზედმეტ ბარიერებსა და შეზღუდვებთან არ იყოს დაკავშირებული. ქვეყნის ბრენდინგი და ტურიზმის მიზნებისთვის რეკლამირება უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში.

ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე მთავარი ამოცანის გადაჭრისათვის საჭიროა ერთდროულად, კომპლექსურად მუშაობა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან. შედეგად მივიღებთ მომსახურების მაღალ სტანდარტებს, კარგად განვითარებულ ინფრასტრუქტურას, მრავალფეროვანი ტურისტული შესაძლებლობებს, მოვლილ ბუნებრივი გარემოსა. კარგად ორგანიზებული პროცესებით და ტურიზმი გაცილებით სწრაფად განვითარდება.

მთავრობის კონკრეტულ ქმედებას შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც შიდა ისე საერთაშორისო ტურიზმზე. პოლიტიკის მთავარი მიზანია პროცესში მთავრობასთან ერთად აქტიურად ჩართოს საზოგადოებრივი, კერძო და არასამთავრობო სექტორი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისას.

ჩართულობა საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ არსებული სიტუაცია და შევიმუშაოთ კონკრეტული გეგმები.

სახელმწიფოს ასევე მთავარი ამოცანაა ეკონომიკის აღორძინება. რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული მიზნები, ამოცანები, სტრატეგიები ტურიზმის და სხვა ინდუსტრიების დაბალანსებულად განვითარებისთვის.

პირველ რიგში სახელმწიფოს მიზანია შეისწავლოს, ტურიზმის განვითარებით რა შედეგი შეიძლება მივიღოთ სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი და სხვა მიმართულებით, განსაზღვროს პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევს ტურიზმის განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ინფრასტრუქტურის შექმნაზე, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნოლოგიების, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებაზე, ხელი შეუწყოს ტურისტული აქტივობების ზრდას, განავითაროს ტურისტული დანიშნულების ადგილები, ხელი შეუწყოს ადამიანური რესურსის განვითარებას, გაამკაცროს ან გაამარტივოს სავიზო ბარიერები ქვეყნის მიზნებიდან გამომდინარე.

მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული პროდუქტის ძირითადი მწარმოებელი კერძო სექტორია, მისთვის აუცილებელია მთავრობასთან ურთიერთობა რადგან სოციალური, ეკოლოგიური და საზოგადოებრივი ეკონომიკური მიზნების შეკავშირება სათანადო პოლიტიკისა და ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებით იქნება უზრუნველყოფილი. მთავრობა უზრუნველყოფს ფუნქციების გადანაწილებას ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის. ადგილებში, სადაც კერძო ინვესტიციის მოზიდვა რთულია, აქტუალურია მთავრობის აქტიური, მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება.

ტურიზმის სფერო განსაკუთრების სენსიტიურია პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყნების მიმართ, ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს სახელმწიფოს, შესაბამისი პოლიტიკისა და გეგმების ჩამოყალიბების კუთხით. მთავრობას მნიშვნელოვანი ბერკეტი გააჩნია ეკონომიკური, პოლიტიკური თუ გარემოს დაცვითი მიმართულებით.

სახელმწიფოს მიერ ტურიზმის განვითარებისთვის ჩატარებული აქტივობები უფრო სწრაფი, შედეგიანი და მდგრადია თუ მას ორგანიზებაში ტურიზმის ეროვნულ

ადმინისტრაციასთან ერთად რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაციაც ე.წ. DMO-ც (Destination Management Organization) ჩაებმება. ეს უკანასკნელ წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც ჯერჯერობით საქართველოში განვითარებული არაა. DMO-ს ეფექტიანობას მისი ლოკაციური და სპეციალიზებული მიდგომა განაპირობებს, რაც მას ეხმარება უკეთ დაგეგმოს ადგილობრივი ტურისტული რესურსების გამოყენება და სოციალური პარტნიორების ეფექტიანი მობილიზება. მიზეზი, რატომაც ვერ ხერხდება DMO-ს ამუშავება საქართველოში, როგორც ჩანს, მისთვის ფინანსური რესურსების არარსებობაა. სხვადასხვა ქვეყანაში, DMO-ს დაფინანსება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სექტორის თანამონაწილეობით, რადგან ეს ორივე მხარის ინტერესშია. ფინანსური ვალდებულება, მათი საქმეში ჩართულობის გარანტიის მოსაპოვებლადაც არის საჭრო. ეს კი, გარკვეულ საზოგადოებრივ მოწიფულობას საჭროებს.

განვიხილოთ კონკრეტულად რეგიონი, ბორჯომის მუნიციპალიტეტი. ის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონია და მისი ტურისტული პოტენციალიც მის არეალში შემავალი რამდენიმე პუნქტში, როგორიცაა ბორჯომი და ბაკურიანი, საკმაოდაა ათვისებული, მაგრამ ამ ორი პუნქტის გარდა სხვა ადგილები ნაკლებადაა ათვისებული, რაც ძირითადად ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციის გავრცელების დეფიციტით აიხსნება. მიუხედავად ბუნებრივი რესურსებისთ სიმდიდრისა, ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისა, წაღვერის განვითარება ჯერ კიდევ სუსტია. მაღალია მიგრაცია, სახეზეა სამუშაო ძალის დეფიციტი. კერძო სექტორის, მოსახლეობისა და სახელმწიფოს ურთიერთობის კარგი მაგალითი სწორედ წაღვერი უნდა იყოს.

წაღვერი გამოირჩევა ტურისტული პოტენციალით, უდიდესი ინტერესით და ბუნების შესანიშნავი სილამაზით, ასევე ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი უნდა იყოს და ამიტომ აქ ძალიან დიდია სახელმწიფოს როლი. სამწუხაროდ, სუფთა ბიზნესის გაგებით, მაღალი რენტაბელობის ბიზნესის დაწყება წაღვერში საკმაოდ რთულია, რაც ისევ და ისევ ინფრასტრუქტურას უკავშირდება. ამიტომ

სახელმწიფოს როლი კერძო სექტორის დასახმარებლად საკმაოდ დიდია, იმისთვის რომ გარკვეული შეღავათები დააწესოს და გარკვეული ფუნქციები თავის თავზე აიღოს.

გარდა ადგილობრივად ბიზნესის ჩართულობისა, მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის სხვავდასხვა რეგიონში, პირადად ან თუნდაც ტელევიზიით მოხდეს წაღვერის პოპულარიზაცია. პოპულარობას და ცნობადობას წაღვერი ქვეყნის მაშტაბით არ უჩივის, თუმცა რიგი პრობლემები, სასმელი წყალი, გასართობი ცენტრების სიმცირე უბიძგებს დასვენების მსურველებს თავაი შეიკაონ წაღვერში სტუმრობისგან, მითუმეტეს რომ პოტენციური დასვენების მსურველები ბავშვიანი ოჯახები არიან.

უმნიშვნელოვანესი იქნება სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო კონფერენციებზე, შეხვედრებზე, გამოფენებზე წაღვერის ტურისტულ პროდუქტად გატანა, საკმაოდ მიმზიდველი იქნება ბალნეოლოგიური ადგილის გაპოპულარულება, სამკურნალო წყლების, სუფთა ჰაერის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის არსებობის ხაზგასმა. ხელუხლებელი ბუნება, უნიკალური ფლორა და ფაუნა, განსხვავებული და მრავალფეროვანი სამზარეულო, სამკურნალო ბალნეოლოგიური კურორტის მნიშვნელობა და სხვა. ამ ყველაფერს თუ დაერთო რეგიონში ინფრასტუქტურის მოწესრიგება, როგორიცაა წყლის უწყვეტი მიწოდება და კანალიზაციის მოწესრიგება, დიდ შედეგს მოიტანს ტურიზმის განვითარებისთვის

რეგიონში შექმნილია რთული დემოგრაფიული ვითარება, რასაც განაპირობებს შიდა და გარე მიგრაცია, რომლის მაჩვენებლები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია. მიგრაციული პროცესები, ძირითადად, გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სამუშაო ადგილების ნაკლებობა, რთული საყოფაცხოვრებო პირობები, სოფლის მეურნეობისთვის სიმცირე და სუსტად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა. შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, თბილისში, ხაშურში და საზღვარგარეთ მიემგზავრება, ხოლო ადგილზე დარჩენილების დიდ ნაწილს ყოველ დღე სამუშაოდ ბორჯომში და ბაკურიანში სიარული უწევს. მიგრაცია უარყოფითად აისახება რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე. მოსახლეობის რიცხოვნობის კლება და დაბერება გახდება დაბის პრობლემა, რომელიც უარყოფითად

აისახება რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. ამ პროცესის შეჩერება და პრობლემის აღმოფხვრა სირთულეებთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ კუთხით უნდა ჩაერთოს სახელმწიფო და ინვესტორები, რათა შეინარჩუნოს რეგიონში მოსახლეობა, ვის გარეშეც რეგიონის განვითარება, მისი ტურისტული პოტენციალის გამოყენება შეუძლებელი გახდება.

ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით ტერიტორია კონკურენტუნარიანია საერთაშორისო მაშტაბის ბალნეოლოგიურ კურორტად ქცევისთვის, რისთვისაც საჭიროებს ინფრასტრუქტურის განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან, ასევე დაცვას, რადგან ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად ნადგურდება ტყის საფარი. ასევე უმნიშვნელოვანესია ინვერტორების მოზიდვას და კერძო სექტორის მხრიდან შესაბამისი სასტუმროსა თუ კვების ობიექტების მშენებლობა და ბოლოს ამ ყველაფრის მომხმარებლებამდე მიტანა, მათი ინფორმირებულობა.

რეგიონი გვხვდება კულტურულ მემკვიდრეობათა ძეგლებიც. ეკლესია, ციხე-სიმაგრე, მარიჯანის სახლი. ხაზგასასმელია დაბის ულამაზესი არქიტექტურულ-ურბანული განაშენიანება. კარგად დაპროექტებული სალაშქრო ბილიკები მიმზიდველია განსაკუთრებით უცხოელი ტურისტებისთვის.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების როლს ტურიზმის განვითარებაში, ეს უმიშვნელოვანესია. ეს ის სექტორია, სადაც ყველაზე მეტი ენთუზიაზმით სავსე ადამიანი არის თავმოყრილი. თუ მათი ფოკუსი დაბის მასშტაბამდე შემცირდება და კონკრეტულ პროექტებამდე ჩამოყალიბდება, შესაძლებელია მობილიზებული იქნას მოხალისეთა მთელი არმია, რომელიც ტურიზმის განვითარების პროექტებს სრულიად უსასყიდლოდ დაგეგმავს.

მსგავსი მაგალითი მრავლად მოიპოვება, რომელთაგან ერთ-ერთი საინტერესოა ტანზანიის ქეისი:

ტანზანიაში შეიქმნა კულტურული ტურიზმის განვითარების პროგრამა, სადაც მოხალისეებმა თავად დაგეგმეს კულტურული ტურის მარშრუტები და შექმნეს პროგრამის ოფიციალური ვებგვერდი. მოხალისეები ტურისტებს უსასყიდლოდ ემსახურებოდნენს,

აწყობდნენ პრეს და ბიზნეს ტურებს. ტურის მარშრუტში მათ ჩართული ჰქონდათ სოფლის სკოლის და საირიგაციო სისტემის განვითარების, ასევე, სხვა სოციალური განვითარების პროექტები, რომლის განხორციელებაც თანადაფინანსებით იყო შესაძლებელი. პროექტებში ჩართული ტურისტები დიდი ინტერესითა და ემფათიით მოეკიდნენ ობიექტების განვითარებას და გამგზავრებამდე მოხალისეებს უტოვებდნენ იმაზე ორჯერ მეტ თანხას ვიდრე ტურისტული მომსახურებებისთვის გადაიხდიდენ. მოხალისეებმა პროგრამის ფარგლებში, ერთი წლის მანძილზე 190,000 აშშ. დოლარის მობილიზება მოახერხეს, რაც მნიშვნელოვანი კონტრიბუცია იყო აღნიშნული პროექტების რეალიზაციისთვის. [13]

[13] http://forbes.ge/blog/87/turizmi%2C-rogorc-siRaribis-daZlevis-meqanizmi-saqarTveloSi

3. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების განვითარების პოტენციალი და მისი განხორციელების შესაძლებლობები დაბა წაღვერში

3.1. დაბა წაღვერის ტურისტული პოტენციალი და განვითარების შესაძლებლობები

წაღვერი ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია საქართველოში. მართალია, ბუნებრივი რესურსები არ აკლია, მაგრამ განიცდის ადამიანური რესურსების ნაკლებობას, ნაკლებ ცნობადობას განსაკუთრებით უცხოელ ტურისტებში, პრობლემებს ინფრასტრუქტურის კუთხით, რაც თავის მხრივ, აისახება ამ რეგიონის ეკონომიკაზე.

რეგიონში შექმნილია რთული დემოგრაფიული ვითარება, რასაც განაპირობებს ძირითადად შიდა და გარე მიგრაცია, რომლის მაჩვენებლები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია. მიგრაციული პროცესები, ძირითადად, გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა სამუშაო ადგილების ნაკლებობა, სუსტად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა. რეგიონი მეტად მიმზიდველ გეოგრაფიულ ზონაში მდებარეობს, თუმცა სოფლის მეურნეობის სამუშაოები აქ ნაკლებად პოპულარულია. ამას ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ინფორმირებულობა, ფინანსების არასათანადო ხელმისაწვდომობა, სავარგულების დეგრადაცია და ამორტიზება, მიმღები და გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე, ამიტომ შრომისუნარიანი მოსახლეობა სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, თბილისში, ხაშურში, ბორჯომში და საზღვარგარეთ მიემგზავრება. მაშინ როცა რეგიონს ამხელა ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რასაც აქვს შესაძლებლობა შექმნას უამრავი სამუშაო ადგილი, ხელი შეუწყოს ტურიზმთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული საქმიანობის განვითარებას, შექმნას მიმზიდველი გარემო ახალგაზრდების დაბაში დატოვების მიზნით, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში ტურიზმის განვითარება

არა მხოლოდ ეკონომიკისთვის, სოციალური კუთხითაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ, ამ ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებაში ინტეგრირებული მიდგომა ერთადერთი გამოსავალია მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მთავრობა, მოსახლეობა, მკვლევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესი, როგორიცაა ტუროპერატორები, სასტუმროები და სხვა ერთობლივი ძალებით უნდა ჩაებან რეგიონში ტურიზმის განვითარებაში.

წაღვერი - დაბა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ქ. ბორჯომიდან 14 კმ-ში, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდ. გუჯარეთის წყლის ხეობაში. იგი XIX ს-დან არის ცნობილი, როგორც მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი. მას ცენტრალური ადგილი უჭირავს ბორჯომ-ბაკურიანის საკურორტო ზონაში და ირგვლივ წიწვიანი ტყეებით დაფარული მთები აკრავს. წაღვერზე გადის ბორჯომი-ახალქალაქის საავტომობილო გზა, რომლითაც იგი აკავშირებს რეგიონის ორ მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტს: ბორჯომსა და ბაკურიანს. თემის შემადგენლობაში შედის შემდეგი ერთეულები: დაბა, ტიმოთესუბანი, მზეთამზე. ასევე დაბა წაღვერის შემადგენლობაში მოიაზრება კეჩხობი და ცემი. მოსახლეობა 799 ადამიანი (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით). [14]

წაღვერის ბალნეოლოგიური ღირსებით გამორჩეული „მჟავე“ მინერალური წყლები, მთის მშრალი ჰავა, უქარო და მზიანი დღეები და ულამაზესი უბანი „კეჩხობი“ დასვენების და მკურნალობის უამრავ მსურველს იზიდავს.

წაღვერის ახლოს, პლატოზე (ზ.დ. 1200მ) მდებარეობს ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების საუცხოო კურორტი „მზეთამზე“,რომლის ერთერთი ღირსებათაგანი თვით ამ სოფლის სახელწოდებაშია გამჟღავნებული - 2200 მზიანი საათი წელიწადში.

წაღვერიდან 3 კმ-ში ისტორიული თორის შუაგულში მდებარეობს სააგარაკო სოფელი და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი ტიმოთესუბანი. აქ დღემდე

[14] https://www.geostat.ge/index.php/ka (მოსახლეობის საყოველთაო აღწერა)

შემონახულია XII – XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი - დიდი სამონასტრო კომპლექსი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრით. იგი გამოირჩევა არაჩვეულებრივად მდიდარი იკონოგრაფიით, რომელიც აღბეჭდილია სხვადასხვა ოსტატების ხელწერათა სტილისტური ერთიანობით. სპეციალისტთა აზრით ეს მხატვრობა თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ნიმუშია.

რელიეფი მთაგორიანია, გაბატონებულია საშუალო და ციცაბო ფერდობები. სიმაღლე ზღვის დონიდან – 1020-1050 მ. კლიმატი – საშუალო მთის (ქვედა სარტყელი), ნოტიო სუსტად კონტინენტური. ზაფხული თბილია, ზამთარი - ცივი და ხანგრძლივი. მდგრადი თოვლის საფარი არსებობს თითქმის 3-4 თვე. ჩვეულებრივ თოვლის საფარის სიმძლავრე დიდი არ არის და იანვარ-თებერვალში საშუალოდ იგი მერყეობს 8-18 სმ-ის ფარგლებში. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 600-900 მმ-ია, რომლის მაქსიმუმიც მოდის გაზაფხულ-ზაფხულზე (მაის-ივნისზე). წლის დანარჩენ პერიოდში ნალექები შედარებით თანაბრადაა განაწილებული.

კურორტის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ გარემოს ქმნის წიწვოვანი ტყეები, მთის ჰავა და მინერალური წყლები. წაღვერის ჰავა და მინერალური წყლები არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. კურორტზე ყველაზე ქტიური სეზონია ფიჭვის გირჩის ყვავილობისას, გირჩის მტვერს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები აქვს და მას აგროვებენ კიდეც, რათა შემდგომ სამკურნალო მიზნით მიიღონ (თაფლთან ერთად). მკურნალობის სახეობებია: პასიური და აქტიური კლიმატოთერაპია და მინერალური წყლის მიღება.

წაღვერის ფლორა და ფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია. გავრცელებულია ფრინველთა 70-მდე, თევზების 10-ზე მეტი, რეპტილიების – 9, ამფიბიების – 5 სახეობა. ეს ფაქტი საინტერესოა ე.წ. “Bird” და სამონადირეო ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

წაღვერის ბალნეოლოგიური კურორტი ერთ დროს საკმაოდ ცნობილი და პოპულარული იყო. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული წაღვერი უკვე

იყო ინტელიგენციის საყვარელი დასასვენებელი ადგილი. აქ ჰქონდათ აგარაკები მარიჯანს, ზაქარია ფალიაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, (წაღვერშია დაწერილი ოპერა „დაისი") მიტროფანე ლაღიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს და სხვებს.

მნიშვნელოვანია წაღვერში არსებული ხიდი, რომელიც წაღვერს ცემთან ბორჯომი - ბაკურიანის რკინიგზით აკავშირებს, რომანოვებმა სპეციალურად შეუკვეთა საფრანგეთში. ფრანგი ხიდმშენის ალექსანდრ გუსტავ ეიფელის მიერ კონსტრუირებული ხიდი საქართველოში 1902 წელს ჩამოიტანეს და მდინარე ცემისწყალზე ააგეს. ეიფელის სახელი საკმაოდ მიმზიდველია ტურისტულად, ამ ხიდს უამრავი მნახველი ჰყავს და ის მართლაც რომ ასახავს ეიფელის ხელწერას.

დაბაში გვხვდება ისტორიული და კულტურული ძეგლები როგორიცაა ტიმოთესუბნის მონასტერი, უზნარიანის ციხე, გარდა ამისა აღსანიშნავია მისი არქიტექტურულ-ურბანული განაშენიანება, ეიფელის ხიდი და „კუკუშკა“, მდინარის „კანიონი“, ჩანჩქერი, პანორამული ხედვის წერტილები სხვა.

ტურიზმის ინდუსტრიას დიდი პოტენციალი გააჩნია წაღვერის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფის, სამუშაო ადგილების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია გახდეს რეგიონში სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი. ტურიზმის ინდუსტრიიდან მიღებული სარგებელი სწაფად ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრია არის შრომა, ის მჭიდროდაა დაკავშირებული მომიჯნავე სექტორებთან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის და, კერძოდ, ოჯახური ტურისტული საქმიანობის განვითარება ადგილობრივი თემის თანამონაწილეობით წაღვერში პერსპექტიული სფეროა. დასაქმება და დამატებითი შემოსავლების ზრდა, საშუალებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას შეუთავსოს მათთვის ახალ საბაზრო პირობებს, შეინარჩუნონ ბუნების მრავალფეროვნება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ადგილობრივი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა.

დაბაში ტურიზმი ძირითადად სეზონურია და წელიწადის ცხელ პერიოდს მოიცავს, თუმცა შესაძლებელია მისი ზამთრის ტურისტული პოტენციალის ათვისებაც, რასაც ისევ და ისევ ინფრასტუქტურა, წყლის და გათბობის პრობლემა უშლის ხელს. სწორედ ამის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის ტურიზმის განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ბიზნესის დაინტერესება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია წაღვერში მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, რაც საფეხმავლო ბილიკების მარკირებას და მანიშნებლების მონტაჟს გულისხმობს. ამ შემთხვევაშიც დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის ჩართულობამ. წაღვერის მოსახლეობასთან ერთად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ნიშნებით მონიშნეს საკუთარი გამოცდილებითა და ცოდნით საინტერესო ტურისტული სალაშქრო მარშრუტი, ეს მათ უქმნით საკუთრების განწყობას და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან შექმნილის მოვლასა და გაფრთხილებას, ხოლო ტურისტებს და მოლაშქრეებს გაუადვილებს ულამაზესი ბუნების მონახულებას და უსაფრთხოს გახდის მათ მოგზაურობას.

მნიშვნელოვანია გარემოს დასუფთავება და მისი დანაგვიანების თავიდან არიდება, დღესდღეობით ამ კუთხითაც პრობლემაა წაღვერში, ამ კუთხით უდიდესია მოსახლეობის, ვიზიტორების და ადგილობრივი ბიზნესის ჩართულობა. მათ უნდა გაითავისონ, რომ სისუფთავის დაცვა, ხე-ტყის უკანონო ჩეხვისგან თავის შეკავება, ტყეში ცეცხლის დანთებისას უსაფრთხოების წესების დაცვა მათთვისაც აუცილებელია და მომავალი თაობისთვისაც.

რეგიონში განვითარებული მემარცვლეობა, მეხილეობა და მეცხოველეობა, თუმცა რომ არასაკმარისადაა ეს სფერო ათვისებული და გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს მხარეს. მათ აქვთ შესაძლებლობა არა მარტო წაღვერი, არამედ მთელი რეგიონი უზრუნველყონ ადგილობრივი, ნატურალური პროდუქტით, რაც ტურისტებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა თემი ჯერჯერობით ამხელა შესაძლებლობას ვერ იყენებს. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, სუფთა ჰაერთან და შესაბამის გარემოსთანა ერთად

საუკეთესო არჩევანია ოჯახთან ერთად დასვენების მსურველთათვის და მსგავსი დასვენების მსურველი უამრავია როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო მაშტაბით.

ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია შექმნას ჩართულობითი, გამოცდილების მიღების ტურიზმი, სადაც ტურისტს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს ბაღების და ბოსტნების, ფერმების მოვლაში, კრეფასა და სხვადასხვა ნაწარმის დამზადებაში და რა თქმა უნდა მის დეგუსტაციაში. ტურიზმის მსგავსი მიმართულება წარმატებითაა დანერგილი ისეთ განვითარებულ ტურისტულ ქვეყნებში როგორიცაა იტალია, და საფრანგეთი.

რეგიონს აქვს მაღალი პოტენციალი მეფუტკრეობის განვითარების კუთხით, რომელზეც დიდია მოთხოვნილება.

წაღვერში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შეფასებისათვის საჭიროა გაანალიზდეს ტურიზმის განვითარების დეტერმინანტები, მასზე მოქმედი ფაქტორები რამდენად განსხვავდება ის სხვა რეგიონებისგან.

წაღვერში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული. წაღვერს გააჩნია, როგორც უნიკალური ბუნებრივი რესურდები, ასევე კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები. აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, წაღვერში სრულყოფილად ვერ ხერხდება არსებული რესურსების ათვისება-დატვირთვა, რასაც გააჩნია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. არსებობს გამოწვევები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია წაღვერის ტურიზმის ინდუსტრიის ეფექტიანი განვითარებისათვის.

რეგიონების სიძლიერე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად წაღვერში ტურიზმის განვითარება პოზიტიურ გავლენას არა მერტო წაღვერის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზეც ასახავს.

პროცესების სიღრმისეულად შეფასებისათვის საჭიროა წაღვერის ტურისტული პოტენციალის შეფასება, ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების კოორდინაცია, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია, არსებული პრობლემების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბება და სხვა. წაღვერს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია, ისევე როგორც მთელი

საქართველოს რეგიონების უმრავლესობას. იგი მდიდარია, როგორც ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით, ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, რომელიც თანმიმდევრული პოლიტიკის და ეფექტიანი მართვის პირობებში შესაძლოა გახდეს დაბის გამოცოცხლების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფექტიანი შედეგების მისაღწევად საჭიროა წაღვერის განვითარების პოტენციალის შესწავლა და არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა წაღვერისთვის არის მისი თანაბარი განვითარება მის მიმდებარედ არსებულ ქალაქებთან და დაბებთან შედარებით, ისეთებთან როგორიცაა ბაკურიანი, ბორჯომი.

ამ კუთხით არსებობს არაერთი პრობლემა, სამცხე ჯავახეთის რეგიონში, ისევე როგორც მთელ საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ეკონომიკურად აქტიურ არეალებში, გარდა ამისა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო წაღვერის მოსახლეობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდები საცხოვრებლად გადადიან რეგიონულ ცენტრში, დედაქალაქში, ან საზღვარგარეთ. ამიტომ აუცილებელია სწორად გავაანალიზოთ უთანაბრობის მიზეზები, რომელიც შესაძლოა დამოკიდებული იყოს ერთი მხრივ, ბუნებრივ და გეოგრაფიულ თავისებურებებზე, ხოლო მეორე მხრივ, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებულ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული ატივობების გაძლიერება ხელს უწყობს ადგილობრივების დამაგრებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ტურიზმს შეუძლია მოახდინოს სტიმულირება სხვა ეკონომიკური აქტივობების და სექტორების, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვა.

ბორჯომის და ბაკურიანის ტურიზმის გავლენას წაღვერის ტურიზმზე, საკმაოდ დიდია. ავსტრიულმა კომპანია SKIDATA-მ მთის კურორტებზე, მათ შორის ბაკურიანშიც უკონტაქტო გამშვები პუნქტები დაამონტაჟა, რისი საშუალებითაც დადგინდა, რომ 2018

წელს ზამთრის სეზონზე ბაკურიანს 132,700-ზე მეტი ტურისტი ეწვია[15]. ეს მაჩვენებელი 15%ით მეტია წინა წელზე და ყოველ წელს მზარდი მონაცემებით ხასიათდება, 2022-2023 წლებში დაანონსებულია ზამთრის ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარება. ეს ფაქტები, მონაცემები, ციფრები ბაკურიანთან ერთად წაღვერის ტურისტულ პოტენციალზეც მეტყველებს.

წაღვერისთვის მნიშვნელოვანია მოძებნოს საკუთარი ნიშა და წარმატებას მიაღწიოს ამ მიმართულებით. მას შეუძლია ბაკურიანის და ბორჯომის ბიუჯერუტი შემცვლელი, ან შემავსებელი გახდეს. ვიზიტორებს, ვისაც სუფთა ჰაერზე დასვენება უნდათ, იგივე ჰაერზე დასვენება ბაკურიანთან შედარებით, გაცილებით დაბალ ფასად შეუძლიათ წაღვერში, ხოლო მათ ვინც ბაკურიანში სასრიალოდ დადის, შეუძლიათ სასტუმრო დაიქირაონ წაღვერში და ყოველ დღე მივიდნენ სასრიალოდ ბაკურიანში სულ რამდენიმე წუთში. ამ ყველაფრის მოხერხება, რა თქმა უნდა, წაღვერში ინფრასტუქრუტის პრობლემების მოგვარებით უნდა დაიწყოს - მოგვარდეს წყლის პრობლემა და დაინიშნოს ტრანსპორტი წაღვერსა და ბაკურიანს შორის კომფორტული, ხშირი და მოქნილი გადაადგილებისთვის.

წაღვერის ტურისტული პოტენციალი თეორიულ ცოდნის და მოძიებულ მასალისგან განსხვავებით, კიდევ უფრო ნათლად ჩანს ადგილზე დათვალიერებითა და დაკვირვებით. სწორედ ამიტომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის, გეოგრაფიის და სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ჩატარდა ერთდროული კვლევა ადგილზე, შესწავლილი იქნა გარემო, ტურიზმის არსებული მდგომარეობა და დაინტერესებული მხარეების ხედვა, იდეები, მიზნები, პრობლემები თუ გამოსავლის გზები.

როგორც არაერთხელაა აღნიშნული, ტურიზმის მდგრადი განვითარება ვერ მიიღწევა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გარეშე. გამოყოფილია რამდენიმე დაინტერესებული მხარე:

სქემა N 3.1

[15] https://sputnik-georgia.com/tourism/20180428/240245848/turistebis-ricxvi-mTis-kurortebze-erTi-meoTxediT-gaizarda.html



გარემოზე დაკვირვებით, ადგილის შესწავლითა და დაინტერესებული მხარეების, კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის წარმომადგენლებისა და მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დახმარებით ჩამოყალიბდა გარკვეული მიმართულება და ხედვა წაღვერის მდგრადი განვითარებისთვის.

როგორ მივიღოთ?

რა გვაქვს?

რა გვინდა გვქონდეს?

არსებული სიტუაცია	პოტენციალი	ხედვა
დაბა წაღვერი თავისი ბუნებრივი პოტენციალით ერთ-ერთი საუკეთესო კურორტია საქართველოს ტერიტორიაზე, იგი მდებარეობს ძირითადად სუბტროპიკულ სარტყელში, თუმცა წაღვერის ტერიტორია მოიცავს სამ გეოგრაფიულ სარტყელს. წაღვერი გარშემორტყმულია წიწვოვანი ტყით. სამკურნალო წყლების რაოდენობა აღწევს 18-მდე და თითოეული წყლის შემადგენლობა და სამკურნალო თვისებები განსხვავებულია.	თავისი ბუნებრივი რესურსების წყალობით წაღვერი გვევლინება მოწინავე ბალნეო-კლიმატურ კურორტად. ასეთ ადგილებში დასვენება იყო და დღითიდღე კიდევ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიო მაშტაბით, განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს ასაკოვანთა და არასრულწლოვანთა დასვენებისთვის. ამ ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით წაღვერი ტურისტთა ნაკადს არ უნდა უჩიოდეს.	სამკურნალო ტურიზმით დაინტერესებულ ვიზიტორებს ბუნებრივ სიმდიდრესთან ერთად სჭირდებათ გარკვეული სახის კომფორტი, კეთილმოწყობილი ღამის გასათევი ობიექტები, ინფრასტრუქტურით, მუდმივი წყლით, კანალიზაციითა, ელ. ენერგიით, სამედიცინო პუნქტით მთავრობა გასართობი და კვების ობიექტები ბიზნესი

წაღვერის ხსენებისას შეუძლებელია ვინმეს ის სიმღერა არ გაახსენდეს, რომლის მიხედვითაც გრილი ნაძვნარიანი წაღვერი ცხელი მწველი თბილისისგან თავის შეფარების სანატრელ ადგილად გვევლინება. შესაბამისად, წაღვერი, როგორც ბრენდი, შექმნილია წინა საუკუნეში და მის პოპულარობას სწორედ ეს სიმღერაც უწყობს ხელს. ამჟამად ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ჰქონდა სატელევიზიო რეკლამის ან გადაცემის გადაღების იდეა, თუმცა სახსრების უქონლობის გამო ვერ მოხერხდა, თუმცა თემის ძალისხმევით სიუჟეტი წაღვერზე ერთ-ერთი წამყვანი ტელევიზიის ეთერში გავიდა 2019 წლის ივლისის თვეში.	ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი წაღვერის მდგრად განვითარებას და შეიქმნა იმ დროისთვის საუკეთესო და ყველასთვის კარგად ნაცნობი კურორტი, ამიტომ წაღვერი კარგი რეპუტაციით სარგებლობს, რასაც სწორად გამოყენება და განვითარება უნდა.	დაინტერესებული მხარეების ძალისხმებით უნდა მოხდეს უკვე შექმნილი სახელის რეპუტაციის შენარჩუნება და კიდევ უფრო წინ წაწევა. ამ მიზნის მიღზევისთვის ტელეკომპანიის ეთერში გასული სიუეტი საკმარისი არაა. საჭიროა თუნდაც ამ სიუჟეტის ინტერნეტით გავრცელება, რადგან კიდევ უფრო ბევრმა პოტენციურმა ვიზიტორმა ნახოს. მთავრობა გარდა ამისა, კარგად მუშაობს ეგრეთ წოდებული Word of mouth (ხმის გავრცელება). დამსვენებლები კმაყოფილების თუ უკმაყოფილების შემთხვევაში ამას ყვებიან ნაცნობებში, ახლობლებში და ასე ვრცელდება

		წარმოდგენა პოტენციურ კლიენტებში ვიზიტორები
ყველა ადგილობრივს აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლების უდიდესი ნაწილი გამოუყენებელია.	დამსვენებლებისთვის ჰაერთან და წყალთან ერთად მნიშვნელოვანია ჯანსაღი კვებაც, რითაც ქალაქში განებივრებულნი ნამდვილად არ არიან, შესაბამისად ადგილობრივების მიზანი უნდა გახდეს დამსვენებლებისთვის ადგილობრივი ბუნებრივი და არა ქარხნული, მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტის მიწოდება.	ტურიზმის განვითარებისთვის დიდ წვლილს შეიტანს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარება, როგორიცაა ფერმები, ბაღები, ბოსტნები, ყანები, ფუტკრის სკები, სათბურები და სხვა, საიდანაც ნატურალურ პროდუქტს, როგორიცაა რძის ნაწარმი, თაფლი, ხორცი, ხილი, ბოსტნეული, მიაწვდიან დამსვენებლებს ადგილობრივი სასტუმროების მფლობელების დახმარებით. ადგილობრივი მოსახლეობა

დაბის ტერიტორიაზე არსებობს მცირე სამკერვალო, სადურგლო სახელოსნოები, ბლოკის საწარმო და წყლის ჩამომსხმელი ქარხანა, რომელიც ჯერ არ ამოქმედებულა	დამსვენებლების რაოდენობის ზრდა ჩვენი მთავარი მიზანია, ამისთვის მათი მიმღები პუნქტები აღჭურვილი უნდა იყვნენ სათანადოდ.	აღნიშნული საწარმოების განვითარება და გაფართოება ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასტუმროებისა თუ რესტორნების სრულად მომარაგებას საჭირო თეთრეულით, ავეჯით. ასევე კარგი იქნება თუ დაემატებათ თეთრეულისთვის რეცხვის მომსახურებაც, შესაძლოა აითვისონ ბაკურიანის და ბორჯომის ბაზარიც. ბლოკის ქარხანა ხელს შეუწყობს მშენებარე სასტუმროების მომარაგებას, ხოლო წყლის ჩამომსხმელი ქარხანა გარდა იმისა, რომ დაასაქმებს ადგილობრივებს, წაადგება წავერის როგორც ბრენდის პოპულარიზაციას, შესაძლებელი იქნება მცირე ექსკურსიების მოწყობა დამსვენებელთათვის

		ქარხანაში და მათი ჩაბმა სამუშაო პროცესში. ბიზნესი, ადგილობრივი მოსახლეობა
წაღვერი სავსეა ულამაზესი, ძველი, ისტორიული შენობებით, დიდი მოჩუქურთმებული ვერანდებით, ლამაზი ხედებით.	ტურისტებისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს კვების ობიექტები, განტვირთვის ადგილები, სადაც ყავას დალევენ, ივახშმებენ, წიგნს წაიკითხავენ, ან უბრალოდ ხედით დატკბებიან.	წაღვერში თითქმის არ გვხვდება კვების ობიექტები როგორიცაა კაფე, რესტორანი. ძველი ლამაზი შენობების გამოყენება კაფეების გასახსნელად ბევრ ტურისტს დატოვებს კმაყოფილს, ასევე წაადგება ადგილობრივ მეწარმეებს, რომლებიც იქნებიან მომწოდებლები კაფეებისთვის. ინვესტორები

წაღვერს სტუმრობენ ძირითადად ტურისტები საქართველოდან ოჯახური დასვენებისთვის ზაფხულობით.	წაღვერის ტურიზმის განვითარება მოგვიტანს ტურისტებით სავსე დაბას წლის ნებისმიერ მონაკვეთში.	წაღვერი მდებარეობს ბორჯომსა და ბაკურიანს შორის, თავისი ნიშის მოძებნა და მისით დამკვიდრება ბაზარზე წაადგება დაბას, მას შეუძლია იყოს ბაკურიანის ან ბორჯომის ბიუჯეტური შემცვლელი. ორივეში მოხვედრა წაღვერიდან სულ რამდენიმე წუთში შეიძლება, თუ ინფრასტრუქტურა, ცხოვრების პირობები და მოქნილი სატრანსპორტო გადაადგილება ხელს შეუწყობთ, ტურისტებისთვისაც და ადგილობრივი ბიზნესისთვისაც უკეთესი იქნება თუ ღამის გასათევად დაისვენებენ წაღვერში და სასრიალოდ ყოველ დღე ავლენ ბაკურიანში, ეს გადატვირთულ ბაკურიანსაც განტვირთავს

		და შედარებით დაბალ ფასად დასვენების საშუალებას მისცემს ტურისტებს. მთავრობა, ბიზნესი

3.2. ტურიზმის სექტორში არებული მდგომარეობის სისტემური შეფასება და ანალიზი

სისტემის ანალიზს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებენ სწორი მოქმედებების განხორციელებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს სისტემის შემადგენელ ნაწილებად დაშლას მათი უკეთ შესწავლის მიზნით, თუ რამდენად სწორად მუშაობს ეს კომპონენტები და როგორ ურთიერთქმედებს თითოეული საერთო მიზნის მიღწევაზე. შემდეგ კი სინთეზი აერთიანებთ ამ ცალკეულ ელემენტებს და კომპონენტებს რათა შეიქმნას თანმიმდევრული მთლიანობა. თითოეული განხორციელებული ეტაპი მოითხოვს მჭიდრო ურთიერთობას ყველა დაკავშირებულ მხარესთან, რათა გათვალისწინებული იყოს მათი როლი ცალკეულ ელემენტებში. ჩატარებულმა კვლევამ მოგვცა საშუალება წაღვერის ტურისტული პოტენციალი განგვეხილა მისი ელემენტების კუთხით, რათა უკეთ გამოჩენილიყო მისი ძლიერი და სუსტი ელემენტები. დაყოფა მოხდა შემდეგ ელემენტებად.

ცხრილი N 3.1

ბუნებრივი რესურსები	**ინფრასტრუქტურა**	**ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები**

კლიმატი (სემი ჰუმიდური, ჰუმიდური, სემი არიდული)	სასმელი წყლის მიწოდება	განათლება (მომსახურება, ინოვაციური იდეები)
წყლის რესურსები (წყაროს წყალი, მინერალური წყალი, მდინარეები, ჩანჩქერები)	ხელსაყრელი შესაძლებლობები (ძველი შენობები, მატარებელი, ეიფელის ხიდი, სასახლე, გზა, ტრანსპორტი)	ინფორმაცია (მედია, ინტერნეტ რესურსები)
ფლორა (ტყეები, სამკურნალო მცენარეები, კენკრა)	ესთეტიური ღირებულება (ლამაზი შენობები, კულტურული ლანდშაფტი)	დასაქმება
-	განთავსების ადგილები (სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, ბინები)	ფინანსური რესურსები (ბიუჯეტი, ინვესტიციები)

ყველა ჩამოთვლილი ელემენტი განხილულია როგორც შიდა კონტექსტით წაღვერის, ასევე რეგიონის (ბორჯომის მუნიციპალიტეტი), ქვეყნის (საქართველო) და ბოლოს საერთაშორისო დონეებზე. სტრუქტურულად მას ასეთი სახე აქვს:

სქემა N 3.2



წაღვერში ჩატარებული პტაქტიკის შედეგად, ექსპერტებმა, მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს წაღვერის SWOT ანალიზი, რაც ნათელს ხდის პრიორიტეტებს, პრობლემებს, და იმ შესაძლებლობებსა თუ საშიშროებებს რაც მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელია ყველა დაინტერესებული მხარეე მიერ.

ძლიერი მხარეები

- ბუნებრივი გარემო, კლიმატი, წყალი;
- უკვე შექმნილი ცნობილი ბრენდი - „წაღვერი“;
- კარგი დასასვენებელი ადგილის რეპუტაცია;
- ხელსაყრელი მდებარეობა, კარგი მისადგომობა;
- ხელმისაწვდომი ფასი;

[16] სგწკ - საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

- კულტურულ-ისტორიული ძეგლები;
- ეიფელის ხიდი და „კუკუშკა“;
- ძველი ლამაზი შენობები.

სუსტი მხარეები

- სეზონურობა;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა (წყალი, გზა, დენი, კანალიზაცია, ტრანსპორტი);
- არასაკმარისი კვების ობიექტები (კაფე, რესტორანი, საცხობი, მაღაზია);
- გასართობი ცენტრის არქონა;
- სამედიცინო პუნქტის და აფთიაქის არქონა;
- პოლიციის, სასწრაფო დახმარებისა და სახანძროს არარსებობა;
- პარკის ცენტრალურ გზისპირზე მდებარეობა, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების თავისუფალ გადაადგილებას, იწვევს ხმაურს და აბინძურებს გარემოს გამონაბოლქვით;
- მომსახურების ძირითადად არადამაკმაყოფილებელი ხარისხი;
- ადგილზე პროფესიული კადრების დეფიციტი და არაფორმალური ბიზნეს ურთიერთობები;
- ტურისტული შეთავაზების/პროდუქტის არჩევანის სიმცირე (ერთფეროვნება);
- თემის წარმომადგენლების სუსტი თანამშრომლობა და უნდობლობა;
- გრძელვადიანი ხედვის დეფიციტი;
- არაკონკურენტული ადგილობრივი პროდუქტი (მაღალი ფასი ადგილობრივი ბაზრისთვის და მცირე რაოდენობა);
- თემის მოსახლეობის დიდი ნაწილის არასაკმარისი აქტიურობა;
- ტურისტული ინფორმაციის დეფიციტი;
- ბიზნესის დაწყების სირთულე (მცირე სესხის, დაბალი საპროცენტო განაკვეთის მიღების სირთულე);

- მცირე საწარმოების და ინოვაციური პროექტების დეფიციტი;
- გარემოს დაბინძურება.

შესაძლებლობები

- სხვადასხვა ტურისტული სახეობის შეთავაზების შესაძლებლობა (აგრო-ტურისტული, საფეხმავლო, ველო და მოტო ტურები; ადგილობრივ საქმიანობაში ტურისტების ჩართვა)
- ადგილობრივი პროდუქციის წარმოების მრავალფეროვნების გაზრდა, სათანადოდ შეფუთვა, ეტიკეტირება;
- წაღვერის ბრენდის განვითარება - არსებული მინერალური წყლების შესწავლა/ პოპულარიზაცია;
- სარეკრეაციო ზონების გაფართოება;
- საიმიჯო-სარეკლამო სიუჟეტის მომზადება წაღვერზე და მისი პოტენციურ ვიზიტორებამდე მიტანა პერიოდულად;
- ვებ-გვერდის შექმნა, „მწვანე ველის“ ვებ-გვერდის აღდგენა და ოპერირება;
- ზამთრის სეზონის გააქტიურება, რაშიც მეზობელი ბაკურიანის ბიუჯეტურ შემავსებლადაც შეიძლება მოგვევლინოს;
- მიკრო ფერმების, კოოპერატივის ან გაერთიანებების შექმნა და შემდეგ ამ საქმიანობებში ტურისტების ჩაბმაც;
- პროდუქტის და მომსახურების ხარისხის კონტროლის შიდა სისტემის დანერგვა;
- რძის შემგროვებელთა პუნქტის გახსნა, სადაც მოეწყობა ლაბორატორია რძის ხარისხის და ცხიმიანობის შესამოწმებლად და უზრუნველყოფენ დამსვენებლებს ადგილობრივი ჯანსაღი პროდუქციით;
- ადგილობრივი პროდუქტის ასორტიმენტის გაზრდა (მაგ. სამკურნალო მცენარეების ბაზარზე გატანა, ტიმოთესუბნის მონასტერმა დაიწყო ცაცხვის ჩაის დაფასოება);

- მცირე საწარმოების შექმნა და პოპულარიზაცია (სადურგლო, სამკერვალო, საკონდიტრო, სამრეცხაო, აბანო - რომლებიც მოემსახურება ადგილობრივ და არა მარტო ადგილობრივ სასტუმროებს და მათ დამსვენებლებს);
- საოჯახო სასტუმროებში ადგილობრივი პროდუქტის/სუვენირების წარმოჩენა, გაყიდვა და ბეჭდური მასალის გავრცელება;
- აგროტურისტული პროდუქტის შექმნა და შეთავაზება საოჯახო სასტუმრო სახლებში;
- ფერმერის დღეების მოწყობა და ფესტივალი წაღვერში;
- ტრენინგ-ცენტრი, კადრების გადამზადება;

საფრთხეები

- ეკონომიკური საფრთხეები;
- პოლიტიკური საფრთხეები;
- ეკოლოგიური საფრთხეები (ხანძარი, მავნებლები, გამონაბოლქვი);
- ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია;

შესაბამისად ნათელია, რომ წაღვერს უამრავი შესაძლებლობა და პრიორიტეტი აქვს, რის სწორედ გამოყენების შემთხვევაში სახეზე იქნება წაღვერში ტურიზმის მდგრადი განვითარება, რაც წაადგება როგორც ახლანდელ, ისე მომავალ თაობას.

3.3. თანამონაწილეობითი და ინტეგრირებული მიდგომების სტრატეგია დაბა წაღვერის ტურისტული განვითრებისათვის

თანამონაწილეობითი სტრატეგია გულისხმობს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართულობას ცვლილებებში. ცვლილებების განხორციელებამდე ხდება მათი აზრების და შეხედულებების გათვალისწინება, ჩართულები არიან ასევე გარე კონსულტანტები და ექსპერტები., როგორც შუამავლები. ამ მიზნით ექსპერტების, პროფესორების და სტუდენტების მიერ ჩატარებულია კვლევა წაღვერის ტერიტორიაზე. გამოკითხულია ადგილობრივი მოსახლეობა, ბიზნესი, ვიზიტორები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

კვლევა ჩატარდა სტუდენტთა საველე პრაქტიკის ფარგლებში. პრაქტიკის მიზანი იყო სტუდენტებს ახალი ცოდნის მიცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება ტურიზმის მდგრადი განვითარების სფეროში საველე კვლევ(ებ)ის ჩატარების გზით. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ორი მიდგომა: ტრანსდისციპლინური მიდგომა და ადგილობრივ თემთან და აქტორებთან/ სტეიკჰოლდერებთან თანამშრომლობის მიდგომა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიდგომები:

- საბაზო მონაცემების შეგროვება (ჯგუფურად, ზონური პრინციპით);

– ძირითადი თემატური მიმართულებებისათვის მონაცემების შეგროვება (ინტერვიუები);

– მონაცემების ანალიზი და პრეზენტაციები; რეკომენდაციების შემუშავება;

– შედეგების საფუძველზე სისტემური ანალიზისა და განვითარების სცენარის დრაფტის შემუშავება.

- სტეიკჰოლდერებთან თანამშრომლობა:

– დაფინანსების მაძიებელი სტეიკჰოლდერების იდენტიფიკაცია;

– დახმარება აპლიკაციის დაწერაში.

საველე კვლევის ფარგლებში მოხდა ინფორმაციის მოძიება და ანალიზი შემდეგი მიმართულებებით:

1. ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისები;

2. ტურიზმის კავშირი სხვა სექტორებთან;

3. რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის;

4. მენეჯმენტისა და განვითარების გამოწვევები (სტეიკჰოლდერებისა და სტუდენტების ხედვა)

პრაქტიკა ჩატარდა საერთაშორისო პროექტის -Transdisciplinarity for Sustainable Tourism Development in the Caucasus Region/CaucaSusT - მხარდაჭერით. პროექტის აქტივობები განხორციელდა სამი მიმართულებით: მოსახლეობის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა, ტურისტული და სერვის ობიექტების

დაფიქსირება და ლანდშაპტური და კულტურული ძეგლების იდენტიფიკაცია. მისი ფორმატი მოიცავდა შემდგომ ეტაპებსა და აქტივობებს:

- მოსამზადებელი ეტაპი: ლოგისტიკა, გაცნობითი ლექციები, ორგანიზაციული საკითხები;
- ჩასვლა წაღვერში; სტეიკჰოლდერებთან პირველი შეხვედრა; საბაზო მონაცემების შეგროვება; საგრანტო აპლიკაციის მსურველი სტეიკჰოლდერების იდენტიფიკაცია
- თემატური მონაცემების შეგროვება და დამუშავება-ანალიზი; სტეიკჰოლდერების დახმარება აპლიკაციის შედგენაში
- სისტემური ანალიზი და განვითარების სცენარზე მუშაობა; წინასწარი რეპორტინგი; სტეიკჰოლდერებთან შემაჯამებელი შეხვედრა

კვლევის მეთოდი - კვლევის ჩატარების მიზნით წაღვერის თემის ტერიტორია დავყავით 4 სეგმენტად: დაბა წაღვერის ცენტრალური ნაწილი, დაბა წაღვერის ცენტრალური გზის ჩრდილოეთი ნაწილი, ცემი და კეჩხობი, მზეთამზე და ტიმოთესუბანი.

კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. ჯამში გამოიკითხა 80 ადამიანი. რაოდენობრივი კვლევის მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის გამოყენებით. ინტერვიუების გარდა მოხდა ტერიტორიის დათვალიერება, შესწავლა და მნიშვნელოვანი ტურისტული და სხვა დანიშნულების ობიექტების დატანა რუკაზე გეორეფერენსირების მეთოდით.

კვლევის შედეგები

წაღვერი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რასაც ვერ ვიტყოდით ბიზნესსა და დასაქმების რაოდენობასა და მრავალფეროვნებაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს რომ მას პოტენციალი არ აქვს ამ კუთხით განვითარებისთვის, პირიქით, ბიზნესის არაერთი მიმართულებაა, რომელიც ამ ტერიტორიაზე წარმატებით შეიძლება განვითარდეს.

დღეისთვის არსებული ბიზნესის სახეები:

- მასპინძლობასთან დაკავშირებული:

- სასტუმროები,
- საოჯახო სასტუმროები,
- კოტეჯები.

- სხვა მომსახურებები:
  - საკონდიტრო
  - სახაბაზო
  - მაღაზია
- სასოფლო-სამეურნეო:
  - სკები,
  - კენკრის პლანტაციები,
  - ხელნაკეთი ნივთები, სადურგლო, სამკერვალო,

  საკონდიტრო, სახაბაზო.

კვლევის შედეგად წინ წამოიწია მთელი რიგი პრობლემები, რომელთა დიდი ნაწილი ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს მოიცავს, მათ შორის:

წარმოება, ეკონომიკა - გამოირკვა ადგილობრივი პროდუქტის არაკონკურენტუნარიანობა მისი მაღალი ფასის გამო. ეს პროდუქტი არ გამოიყენება რეგიონის პრენდინგისთვის და პირიქით. არ ხდება პროდუქტის სათანადოდ შეფუთვა და ეტიკეტირება, განიცდიან პირველადი ნედლეულის ნაკლებობას (raw materials), არ არსებობს ინფრასტრუქტურა პროდუქტის დასაფასოებლად და შესანახად,პროდუქტის და მომსახურების ხარისხის კონტროლი, პრობლემას წარმოადგენს არაფორმალური ურთიერთობებიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მიწოდების რაოდენობა არაა საკმარისი მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მოთხოვნა კი არასტაბილური და სეზონურია, რაც ხარისხის დაცემას იწვევს. ასევე პირველ რიგში გადასაჭრელი პრობლემაა წყლის, კანალიზაციის უქონლობა და ფინანსების ნაკლებობა.

სოციალური სფერო პრობლემები - მნიშვნელოვანია ინოვაციური, კრეატიული იდეების სიმცირის პრობლემა, დაბალი თვითშეგნება და ხანმოკლე ხედვა, რასაც თან

ერთვის ტურიზმთან დაკავშირებული სპეციფიური ცოდნის და უნარების ნაკლებობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და კომუნიკაციის პრობლემა. უნდობლობაა აქტორებს შორისაც. მცირეა ტურისტულ პროგრამებში თემის ჩართულობის დონე, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარებისთვის. მცირეა სეზონურად ადგილობრივი ღონისძიებების რაოდენობაც.

ეკოლოგიური პრობლემები - მთავარი ეკოლოგიური პრობლემა მავნებლებთან ბრძოლაა, რაც არაა მარტივი გადასაჭრელი, ნადგურდება ტყის ნაწილი, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე ხანძრითაა განადგურებული. ასევე ტყეს უკავშირდება მისი უკანონოდ ჩეხვის პრობლემაც, რაც მოსახლეობის შეგნების ამაღლებით უნდა გადაიჭრას. ამ ყველაფერთან ერთად ჩანს ნაგვის უტილიზაციის, გარემოს დაბინძურების პრობლემაც.

მმართველობა და მართვა - არ არსებობს ტურიზმის განვითარების გეგმა, რაც გამორიცხავს ტურიზმის მდგრადი განვითარების მიღწევას. მცირეა ბიუჯეტი და არსებული ბიუჯეტიდან წაღვერის წილი, რაც მთავრობის მხრიდან წაღვერის ტურიზმის არასაკმარის პოპულარიზაციაზე მეტყველებს. მათი მხრიდან არ ხდება ადგილობრივების ინიციატივების წახალისება და ხელშეწყობა

ჩატრებული დაკვირვებებისა და კვლევების შედეგად, გამოვლინდა შესაძლებლობები წაღვერის განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანი იქნება მიკრო ფერმების, კოოპერატივის ან გაერთიანებების შექმნა; რძის შემგროვებელთა პუნქტის გახსნა, ლაბორატორის მოწყობა რძის ხარისხის და ცხიმიანობის შესამოწმებლად; ადგილობრივი პროდუქტის ასორტიმენტის გაზრდა (მაგ. სამკურნალო მცენარეების ბაზარზე გატანა, ტიმოთესუბნის მონასტერმა ცაცხვის ჩაის მსგავსად დაფასოების დაწყება; ეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ერთგვარი ნიშა იქნება წაღვერის ტურიზმისთვის. გარდა ამისა, წარმატებული იქნება მცირე საწარმოების შექმნდა და პოპულარიზაცია (სადურგლო, სამკერვალო, საკონდიტრო, სამრეცხაო, აბანო და სხვა), საოჯახო სასტუმროებში ადგილობრივი პროდუქტის/სუვენირების წარმოჩენა და ნაბეჭდი მასალის გავრცელება, აგროტურისტული პროდუქტის შექმნა და შეთავაზება საოჯახო სასტუმრო სახლების მიერ და პერიოდულად ფერმერის დღეების მოწყობა წაღვერში.

მუნიციპალიტეტი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მოვალეობაა:

- ინფორმაციის გაწევა ტურისტებისთვის (საინფორმაციო ცენტრები)
- თემატურ რუკების და ბროშურების შექმნა
- ბილიკების მარკირება
- სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობივ გამოფენებში მონაწილეობა.
- რეგიონის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

თემისა და მუნიციპალიტეტის ურთიერთობა ხდება რამდენიმე გზით:

• მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ვიზიტი თემში - კვირაში რამდენიმეჯერ მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ხვდება თემს, ისმენს მათ პრობლემებს, სურვილებს, გამოსავლის გზებს და შესაბამის ინფორმაციას წარადგენს მერიაში;

• ადგილობრივების შეტანილი საჩივრები და განცხადებები - განსაკუთრებულ შემთხვევებში ადგილობრივები წერენ საჩივარს და შეაქვთ მერიაში, სადაც ხდება საჩივრის განხილვა და შესაბამისი რეაგირება. მერიაში აღნიშნავენ, რომ რაც უფრო ხშირად შევა საჩივარი კონკრეტულ თემაზე, მით მეტია დროული რეაგირების შანსი;

• წაღვერის თემის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტში - თემის მცხვრებლებს ყავთ არჩეული პიროვნება, ვინც აგროვებს თემის პრობლემებს და ერთიანი სახით აწვდის მერიას.

კვლევის პროცესში ჩატარდა სამი სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან:

ქეთევან ბეროზაშვილი მუნიციპალიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ზურაბ ჩხაიძე- არქიტექტურისა და მშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

ოთარ არბოლიშვილი - წაღვერის თემის დეპუტატი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა წაღვერის თემში არსებული პრობლემები, რომელსაც პრიორიტეტად თვლის მერია. ესენია:

- მოსახლეობის თვითშეგნება - ახალგაზრდების უმრავლესობა საქმის გარეშე არის, ადამიანები ფიქრობენ მხოლოდ საკუთარ თავზე და არა სხვაზე, გარემოზე, მომავალზე.
- მოსახლეობის "გაზარმაცება" - ტყეს ჩეხავდნენ ბარბაროსულად, მარტივად შოულობდნენ ფულს, სასოფლო მეუბნეობით ფულის შოვნა მეტ ძალისხმევას მოითხოვს. (20 წლის წინ თემს ჰყავდა 195 სული პირუტყვი, დღეს ჰყავს 21)
- ეკონომიკური პრობლემები - მოსახლეობა დამატებითი შემოსავლის გამო არ უფრთხილდება თემის იერსახეს (ლამაზი აივნის ქონის ნაცვლად, ურჩევნია ამოაშენოს და გააქირაოს)
- დაფინანსების პრობლემები - შეზღუდულია ბიუჯეტი და ყველა პრობლემის მოგვარებას ვერ სწვდება
- ბიუროკრატია - პრობლემების მთავრობამდე მიტანა და მათგან რეაგირება დროში გაწელილი პროცესია (უნდოდათ ციხესთან გადმოსახედის გაკეთება, ძეგლთა დაცვის სამსახურმა ჯერჯერობით უფლება არ მისცა)
- დაბინძურება - მოსახლეობა უნდა ეცადოს ნაკლები ზიანი მიაყენოს ბუნებას და მიიღოს მონაწილეობა დასუფთავების აქციებში.
- წყლისა და კანალიზაციისა და ელ. ენერგიის მიწოდების პრობლემა
- სამუშაოები ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გარეშე;
- მცირეა წყლისა და ელ. ენერგიის დებეტი;
- გზების პრობლემა
- სამუშაოებს ატარებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და არა ადგილობრივი კომპანია.
- ჩიხებში გზის დაგებისგან თავისშეკავება გაყვანილი წყლის მილების შესაძლო გაუმართაობის გამო.

- გზა წარმოადგენს ეროვნული დანიშნულების მაგისტრალს, რის გამოც მწოლიარე პოლიციელის დაყენება შეუძლებელია სიჩქარის კონტროლისთვის (გრძელვადიან პერსპექტივაში იგეგმება ჭკვიანი კამერების დაყენება).
- რელიეფის პრობლემა (მაგისტრალის თემის ცენტრიდან გადატანა შეუძლებელია.
- დაბის იერსახე - არ კონტროლდება და არ ისჯება უკანონო მშენებლობები
- წიწვოვანი ხე-ტყის პრობლემა - მავნებლები

პრობლემებთან ერთად მერია განიხილავს გამოსავლებს, რომელიც მათი წარმოდგენით შემდეგნაირია:

- გაიხსნას სადურგლო საამქრო - დაუშვებენ მცირე ოდენობით ტყის ჩეხვას, დასაქმდება მოსახლეობა, შეიქმნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ბაკურიანის ბაზარზე დიდი მოთხოვნაა ასეთ ავეჯზე.
- შეიქმნას მეტი მიკრო ფერმები - თითო ოჯახს რომ ჰყავდეს 10 სული პირუტყვი, უზრუნველყოფილი იქნებიან ყველანაირად. შემდეგ ამ ოჯახების ბაზაზე შეიქმნება კოოპერატივი.
- დაიწყოს სამკურნალო მცენარეების მოყვანა/მიწოდება - დიდი მოთხოვნაა სამკურნალო მცენარეებზე, მონასტერი აფასოებს ცაცხვის ყვავილს და აპირებენ გაფართოებას და ბაზარზე გატანას. მოსახლეობამ უნდა მიბაძოს.
- ფუნქციონირება დაიწყოს წყლის ჩამომსხმელმა ქარხანამ - ქარხნის კონდიცია მიყვანილია ბოლომდე, ინვესტორი გამოცდილია, დროებით სამუშაოები შეჩერებულია. დასაქმდება 50 ადამიანი.
- ამუშავდეს ბეტონის ქარხანა - ბეტონის ქარხანა ხელს უწყობს დასაქმებას, თუმცა უნდა იქნას გათვალისწინებული გარემოს შესაძლო დაბინძურება.
- მოხდეს მოსახლეობის დატრენინგება როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მომსახურების სფეროში, რაც ამჯერად დიდ პრობლემას წარმოადგენს მოცემულ არეალში.

- სარეკლამო საინფორმაციო სიუჟეტის გაკეთება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, რომლის გეგმაც აქვთ, თუმცა ბიუჯეტის სიმცირის გამო განხორციელება ვერ ხერხდება. შესაბამისად აუცილებელია არა ადგილობრივი, არამედ სახელმწიფო ორგანოების, სამინისტროს დაინტერესება და თემის აქტუალობის სწორად მიტანა.

მოსახლეობისა და ტურისტების გამოკითხვა განსაკუთრებით მკაფიოდ უსავამს ხაზს კონკრეტულად არსებულ პრობლემებს, რადგან ეს პრობლემები ყველაზე მეტად მათზე აისახება.

კვლევის პროცესში გამოკითხული 80 რესპოდენტიდან 41 არის წაღვერის დაბის მკვიდრი, 20 მზეთამზედან და ტიმოთესუბნიდან, ხოლო 19 ცემიდან და კეჩხობიდან.

რესპოდენტთა 60% იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 40% მამრობითი. რაც შეეხება გამოკითხულთა ასაკს, მხოლოდ ერთი რესპოდენტი იყო 25 წლამდე ასაკის, გამოკითხულებში ჭარბობდა 41-65 წლამდე ასაკის რესპოდენტთა რიცხვი 42 ადამიანი. თითქმის თანაბარი იყო 26-40 წლამდე ასაკის რესპოდენტთა რაოდენობა 18 და 66 წელზე მეტი ასაკის 19 რესპოდენტი.

მიღწეული განათლების დონით ჭარბობენ საშუალო განათლების მქონე რესპოდენტები 47,5%, მას მოსდევს უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტების რაოდენობა, რაც შეადგენს 33,7%ს, ხოლო პროფესიული და არასრული უმაღლესი განათლების მქონე რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებელია შესაბამისად 10% და 8,8%.

დასაქმების თვალსაზრისით რეგიონში გამოვლინდა უმუშევრობის პრობლება, რესპოდენტთა დაახლოებით ორი მესამედი უმუშევარია, ერთი მესამედი დასაქმებული და ძალიან მცირე ნაწილი, სულ 3 რესპოდენტი, დასაქმებულია სეზონურად.

დასაქმებულთა შორის ჭარბობენ კერძო სექტორში დასაქმებული რესპოდენტები 41,4%, რომელსაც მოსდევს საჯარო სექტორში დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი 37,9%, ხოლო 20,7% არის თვითდასაქმებული.

გამოკითხულთა უმეტესობა დაქორწინებულია, თუმცა კვლევისას გამოიკითხა დაუქორწინებელთა და ქვრივთა მცირე რაოდენობაც.

მიუხედავად იმისა რომ თემში გვხვდება მრავალრიცხოვანი ოჯახები, მათ უმეტესობაში დასაქმებულია ოჯახის ერთი ან ორი წევრი, თუმცა დიდია რაოდენობა (27,5%), სადაც ოჯახის არცერთი წევრი არაა დასახმებული.

გამოკითხული მოსახლეობიდან მხოლოდ 13 ადამიანია, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში წასული იყო სხვა საცხოვრებელ ადგილას, აქედან 8 ცხოვრობდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ხოლო 5 საქართველოს სხვა რეგიონებში. საცხოვრებლის დატოვების მთავარ მიზეზად სახელდება ფინანსების დაგროვება, ასევე საზღვარგარეთ სწავლისა და ცხოვრების სურვილი.

კვლევის მონაწილეთა უმეტესობა 82,5% არ გამოთქვამს სურვილს სხვა საცხოვრებელ ადგილას ან საზღვარგარეთ გადასვლასთან დაკავშირებით, ხოლო 17,5%-ს აქვს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის სურვილი, თუმცა რეალურად უახლოეს პერიოდში მიგრაციას გეგმავს მხოლოდ 6,3%. თემის დატოვების სურვილის მთავარ მიზეზად უმეტესობისთვის გარანტირებული სამსახურის არქონა სახელდება.

მოსახლეობის აღქმით მათი უმეტესობა 53,7% თავს საშუალო შემოსავლის მქონედ მიიჩნევს, 32,5% დაბალშემოსავლიანია. სიღარიბის ზღვარს დაბლა მყოფთა პროცენტული რაოდენობა 13,8%-ია, და მათი დიდი ნაწილი ტიმოთესუბნისა და მზეთამზეს მაცხოვრებელია. აღსანიშნავია რომ მოსახლეობიდან არავინ თვლის თავს მაღალშემოსავლიანად.

ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის ოდენობა დაბის მაცხოვრებლებში 700 ლარია. გამოკითხული რესპოდენტების პასუხებიდან გამომდინარე, მინიმალური შემოსავალია 180 ლარი, ხოლო მაქსიმალური შემოსავალი 2900 ლარია. გამოკითხულ რესპოდენტებს შორის ოთხი ოჯახი იყო თვეში 2000 ლარზე მეტი შემოსავლით და სწორედ მათ ხარჯზე გაიზარდა მოსახლეთა საშუალო თვიური შემოსავლის მაჩვენებელი.

ოჯახების ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ხელფასი (35,5%) და პენსია (33,1%), ასევე მოსახლეობის 16,5% შემოსავალს იღებს ტურიზმთან დაკავშირებული

საქმიანობიდან, ხოლო 9,9% სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან. გარდა ამისა, მათი მცირე ნაწილის შემოსავლის წყაროა სხვა სამეურნეო საქმიანობა და ჩარიცხვები საზღვარგარეთიდან.

მოსახლეობის შემოსავლის დიდი ნაწილი იხარჯება საკვებ პროდუქტებსა და კომუნალურ გადასახადებზე. თემის მაცხოვრებლებისთვის პირველადი საჭიროების ნივთების (პროდუქტი, მედიკამენტი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და ა.შ.) შეძენა დაბის ტერიტორიაზე პრობლემას წარმოადგენს, რადგან ტერიტორიაზე არ არსებობს აფთიაქი, ტანსაცმლის, ტექნიკის, სხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ნივთების მაღაზია. პროდუქტის შეზღუდული ასორტიმენტისთვის დაბის ცენტრში არსებობს რამდენიმე მარკეტი. გარდა ამისა, გარკვეული პროდუქტის შეძენა შესაძლებელია ეგრეთწოდებული მოსიარულე მაღაზიიდან, ანუ პროდუქტით დატვირთული მანქანიდან, რომელიც ხაშურიდან ამოდის კვირაში სამჯერ, თუმცა მარკეტის და მანქანის შემთხვევაშიც პრობლემაა მრავალფეროვნების არ არსებობაში, სხვა მნიშვნელოვან პროდუქტებთან ერთად, შეუძლებელია გაუყინავი ხორცის შესყიდვა. პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პრობლემაა მზეთამზეს, ტიმოთესუბნის, ცემისა და კეჩხობის მაცხოვრებლებისთვის. აღნიშნული საჭიროებებისთვის მოსახლეობას უწევს ხშირი გადაადგილება ქვეყნისა და რეგიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში (ძირითადად ეს არის ქ.ბორჯომი და ხაშური), იმის გათვალისწინებით, რომ წაღვერის და ქალაქ ბორჯომის ტერიტორიაზე პროდუქტის ფასი მნიშვნელოვნად მაღალია, მარაგის შესაძენად მოსახეობა ხშირად მუნიციპალიტეტის საზღვრებსაც სცდება და პროდუქტი ქალაქ ხაშურიდან მოაქვთ.

გარდა ამისა, გამოკითხულთა შორის შეგვხვდა ისეთი რესპოდენტები, რომელთაც უწევთ სხვა დასახლებულ პუნქტში (ამ შემთხვევაში ბორჯომში) ყოველდღიური გადაადგილება სამუშაო მიზნით, შესაბამისად გამოიკვეთა, ის ფაქტი, რომ წაღვერიდან ბორჯომის მიმართულებით ხშირია ქანქარისებური მიგრაცია.

გამოკითხული მოსახლეობის 70% ფლობს დასახლების ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, რომელთა საშუალო ფართობი შეადგენს 2100მ^2-ს. გამომდინარე

იქიდან, რომ მიწები დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩევა და ნაკვეთები საკმაოდ ფრაგმენტულადაა განაწილებილი, მფლობელობაში მყოფი მიწების 54% გამოუყენებელია. ის, ვინც ამუშავებს მიწებს, ძირითადად მოჰყავს ბოსტნეული (ლობიო, კარტოფილი, სიმინდი) და ხილი (ძირითადად კენკროვანი). ნაკვეთები, მართალია ნაკლებად, მაგრამ ასევე გამოიყენება სათიბ-საძოვრადაც.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე, მოსახლეობის უმეტესობის აღქმით, დასახლების სოციალურ-ეკონომიკური პირობები ან გაუარესდა (43%) ან იგივე დარჩა (33%). გამოკითხულთაგან მხოლოდ 2,5% მიიჩნევს, რომ ამ პერიოდში დასახლების სოც. ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

წაღვერის ძლიერ კუნკურენტუნარიან მხარედ ადგილობრივების 64% ბუნებრივ პირობებს (ჰაერი, წყალი) ასახელებს, ასევე გამოყოფენ ისტორიულ ძეგლებსა და მოსახლეობის სტუმართმოყვარეობას.

ძლიერ მხარესთან ერთად რესპოდენტებისგან მოვიპოვეთ ინფორმაცია იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც აფერხებს თემის კეთილდღეობას. მათგან პირველ და ყველაზე მნიშვნელოვნად სახელდება უმუშევრობა, რაც მოსახლეობის 29,4%-ს აწუხებს. მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში, მათ ცალკე გამოყვეს თემი სასმელი წყლით მომარაგებისა და საკანალიზაციო გაყვანილობის პრობლემა. წყალი, რომელიც წაღვერს მიეწოდება, არის ტექნიკური და სასმელად გამოუსადეგარი, გარდა ამისა, წვიმის დროს ხშირად ხდება თემისთვის წყლის მიწოდების შეჩერება და ხშირ შემთხვევაში ეს პროცესი რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდება. აღნიშნული პრობლემა აქტუალურია დაბა წაღვერისა და კეჩხობის ტერიტორიაზე და ნაკლებად აწუხებს ცემის, ტიმოთესუბნისა და მზეთამზეს მოსახლეობას (უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N1-ში).

საინტერესოა ის, რომ რესპოდენტთა 13,5%-ს უჭირს ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამოსავლის პოვნა. მათი ყველაზე დიდი ნაწილი (31,7%) თვლის, რომ წაღვერის თემს სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა სჭირდება და გამოსავალს მხოლოდ

მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში ხედავს. პრობლემების გადაჭრის კიდევ ერთი ეფექტური გზა ადგილობრივების 15,4%-სთვის სამუშაო ადგილების გაზრდაში მდგომარეობს. კვლევის პროცესში ასევე დასახელდა პრობლემების გადაჭრის არაერთი გზა, რომელთგან აღსანიშნავია,- ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების გაუმჯობესება, ინვესტორების შემოსვლა, ტურიზმის განვითარება და სხვა (დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართი N2-ში).

დიაგრამა N 3.1



დიაგრამა N 3.2



დიაგრამა N 3.3



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა წაღვერის პრობლემად უმუშევრობას და ინფრასტრუქტურას ასახელებს, გამოსავლად სახელმწიფოს მხარდაჭერა და სამუშაო ადგილების გაზრდა მიაჩნია, ხოლო წაღვერის ძლიერი მხარე ბუნებრივი რესურსია. აქედან ჩანს, რომ ისინი ვერც ძლიერ მხარეში, ვერც პრობლემის მოგვარებაში საკუთარ თავს ვერ ხედავენ და მხოლოდ სახელმწიფოს იმედად არიან. რეალურად მათ გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლიათ წაღვერის მდგრადი განვითარებისთვის და თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ საჭიროა მოსახლეობის განათლება და დატრენინგება ტურიზმის კუთხით, რომ მათ უკეთ დაინახონ თავიანთი როლი მათივე კეთილდღეობის მიღწევაში.

შეჯამების კუთხით, გამოვლინდა, რომ მოსახლეობისა და ტურისტების მიერ აღქმული პრობლემები ერთმანეთთან ახლოსაა:

ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი მთავარი პრობლემები:

- სასმელი წყალი
- უმუშევრობა
- კანალიზაცია
- სახელმწიფოს უყურადღებობა

ტურისტების/ვიზიტორების გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი მთავარი პრობლემები:

- წყლის მიწოდების პრობლემა
- გზების და საგზაო მოძრაობის პრობლემა
- მაღაზიებისა და სამედიცინო პუნქტების ნაკლებობა
- გასართობი საშუალებების ნაკლებობა

ვიზიტორებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეროვნული მნიშვნელობის მაგისტრალის არსებობა წაღვერის ცენტრში უარყოფითი კონტექსტით. მათი აზრით, მაგისტრალზე გამავალი მანქანები აბინძურებენ ჰაერს, იწვევენ ხმაურს და

საფრთხეს უქმნიან მაგისტრალთან არსებულ სკვერში მოთამაშე ბავშვებს. ეს პრობლემა გასაგებია, თუმცა რამდენად მოგვარებადია, რთული წარმოსადგენია, რადგან რელიები არ იძლევა საშუალებას გზის გადატანისთვის. შესაბამისად მნიშვნელოვანი პრობლემა, მაინც რჩება წყლის რეგულარული მიწოდება, რისი გამოსწორებაც არც თუ ისე ძნელია.

შეჯამების სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომელიც ასახავს ვიზიტორებთან და ადგილობრივებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილ კმაყოფილების და უკმაყოფილობის ძირითადი ობიექტებს, რომლებიც რიგ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა და ასევე ემთხვევა სხვა დაინტერესებული მხარეების აზრს:



დასკვნა და რეკომენდაციები:

კვლევებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებულია დასკვნა და შემუშავებულია რეკომენდაციები. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ წაღვერი მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე დაბაა. მიუხედავად ბუნებრივი რესურსების სიმდიდრისა, ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისა, დაბის განვითარება ჯერ კიდევ სუსტია. შესაბამისად დიდია როლი ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივად ჩართულობისა რეგიონის განვითარებაში, რის საფუძვლადაც მდგრადი ტურიზმის განვითარება ისახება.

პირველ ეტაპზე ყველაზე დიდი როლი რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის უნდა დაეკისროს ხელისუფლებას, რადგან ამ შემთხვევაში ინფრასტრუქტურა გადამწყვეტ როლს თამაშობს. შემდეგ კი ასევე მთავრობის დახმარებით წინ წამოიწევა სხვა ყველა დაინტერესებული მხარის როლი, ვალდებულებები და პოტენციური სარგებელი.

ვინაიდან სახელმწიფო ორგანოები, როგორც წესი, დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან, რის მთავარ მიზეზადაც დაფინანსების უქონლობას ასახელებენ, მნიშვნელოვანი ხდება ადგილობრივი მოსახლეობის როლი, სწორად განსაზღვრული და პრიორიტეტებად დალაგებული მათი სურვილები, ქმედება და აქტიურობა, რაც „აიძულებს“ მუნიციპალიტეტს, რეგიონის შეზღუდული რესურსების გახარჯვისას პრიორიტეტი სწორედ წაღვერს მიანიჭოს. შესაბამისად დააფინანსოს ინფრასტრუქტურის ისე მოწყობა, რომ ადგილობრივი ბიზნესი შეუფერხებლად ამუშავდეს, ეკონომიკური დოვლათი შეექმნას მოსახლეობას და ვიზიტორებმა უპრობლემოდ შეძლონ წაღვერში დასვენება.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციებული პროექტების შედეგიანობის გაზრდისათვის აუცილებელია რეგიონის განვითარების მწყობრი, შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგიის არსებობა, სადაც გამოკვეთილი იქნება რეგიონის

ხელისუფლების როლი, მუნიციპალიტეტების ამოცანები და ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებები, ამ ეტაპზე კონკრეტულად წაღვერისთვის ეს გეგმა არ არსებობს, განიხილება მთლიანად მუნიციპალიტეტის ჭრილში, საიდანაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ისევ და ისევ ბორჯომს და ბაკურიანს ენიჭება. კონკრეტულ დაბაზე მორგებული გეგმა უნდა ემყარებოდეს განვითარების ახალ ორიენტირებს, როგორიცაა ტურიზმის მდგრადი განვითარება, რის მიღწევაშიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხელისუფლების, კერძო სექტორის, მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, და თავად ტურისტების ერთობლივი ჩართულობა და ძალისხმევა.

რეგიონი საჭიროებს ინფრასტრუქტურის განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან, ასევე დაცვას მისი დაბინძურების, განადგურების, იერსახის შეცვლისგან, რაშიც ყველა მხარე ჩაებმება. მაგალითისთვის, სხვადასხვა მიზეზით განადგურებულია ტყის უნიკალური მასები, გადარჩენილის დასაცავად და განადგურებულის აღსადგენად მთავრობამ უნდა დაისახოს გეგმები და ამ საქმეში ჩართოს თემიც და კერძო ბიზნესიც, შესაძლოა, მთელი ქვეყნის მოსახლეობაც და ტურისტებისთვისაც ეგრეთწოდებული გამოცდილებაზე დამყარებული ტურიზმი შექმნას და მოხალისეებად ჩართოს ხე-ტყის მოვლაში, ხეების დარგვასა და ბუნების დასუფთავებაში.

ასევე უმნიშვნელოვანესია ინვერტორების მოზიდვა და კერძო სექტორის მხრიდან შესაბამისი სასტუმროსა თუ კვების ობიექტების მშენებლობა, რისი სიმრავლითაც ნამდვილად არ გამოირჩევა წაღვერი. აქ ტურისტებს ძირითადად ქარხნულად ნაწარმოები, ან მეზობელ სოფლებში ნაყიდი პროდუქტით უმასპინძლდებიან, ამის საპირისპიროდ უნდა განვითარდეს ადგილობრივი წარმოება, გარდა იმისა, რომ მოსახლეობა ამ კუთხით დასაქმდება, ადგილზე ნაწარმოები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის შეთავაზება დამატებით უამრავ ტურისტს მოიზიდავს. დიდი პოტენციალია ხორცის, რძის ნაწარმის, ხილის, ბოსტნეულის და მისგან დამზადებული ადგილობრივი პროდუქტების შეთავაზების, რასაც ამ ეტაპზე მცირე რაოდენობით, თუმცა წარმატებით აწარმოებენ.

გარდა ინვესტორების მოზიდვისა, მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციური სული გაჩნდეს ადგილობრივებშიც და საკუთარი მიწის მიტოვებისა და სხვა ეკონომიკურად აქტიურ ქალაქებში გადასვლაზე ფიქრის ნაცვლად, წაღვერშივე ახალი ინოვაციური საქმის წამოწყებაზე იფიქრონ, შექმნან ახალი ბიზნესები და დაასაქმონ ადგილობრივები.

ტურიზმის განვითარება და ჩართულობა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა დანიშნულებაში მნიშვნელოვანია ტურიზმის და ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვისათვის. დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობა საშუალებას მისცემს პირდაპირი კომუნიკაციის, უკეთესი თანამშრომლობისა და კომპლექსური დამოკიდებულებისა და ურთიერთდახმარების უკეთ გაგებაში. სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებისას დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი უნდა იყოს დაფარული. ასევე მათი ჩართულობა ადრეულ ეტაპზე, ხელს უწყობს პროექტის საკუთრებად აღქმას და ამდენად პროექტის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობას და მდგრადობას.

ყველა მხარის ჩართულობა ერთი მიზნისკენ, მათი თანამონაწილეობა იქნება გარანტია იმისა რომ ეს მხარე გამოცოცხლდეს, მოსახლეობა დასაქმდეს, დეპოპულაციის პროცესი შეიცვალოს მოსახლეობის მომრავლებით, რეგიონში შეიქმნას ეკონომიური დოვლათი, ეს ყველაფერი კი აუცილებლად დადებითად აისახება მთელი ქვეყნის განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებ გვერდები:

ლიტერატურა

1. ხოხობაია მერაბ, ტურიზმის განვითარების პოლიტიკა საქართველოში, თბილისი 2016

2. ხოხობაია მერაბ, ტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენდენციები, ეკონომიკა და ბიზნესი, 2014

3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის ინდუსტრიის მიმოხილვა, 2017

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2017

5. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ, 1997

6. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, ასოციაცია მწვანე ალრეტნატივა, 2013

7. James E. N. Sweeting, Aaron G. Bruner, Amy B. Rosenfeld, 1999 - THE GREEN HOST EFFECT: AN INTEGRATED APPROACH TO SUSTAINABLE TOURISM AND RESORT DEVELOPMENT Okazaki Etsuko, A Community-Based Tourism Model: Its Conception and Use, 2008

8. Jamrozy U. Marketing of tourism: a paradigm shift toward sustainability. Marketing of Tourism. Alliant International University, San Diego, California, USA. 2007 p. 123.

9. SUSTAINABLE TOURISM, COMMUNITY PARTICIPATION and PERSPECTIVE for RURAL DEVELOPMENT, ICHTO, UNDESA TEHRAN 14 OCTOBER 2014

ვებ გვერდები:

a. https://www.sciencehq.com/computing-technology/system-analysis-and-design.html

b. sustainabledevelopment.un.org

c. https://gnta.ge/ge/

d. http://caucasust.boku.ac.at/ka/ჩვენს-შესახებ/თემზე-დაფუძნებული-ტურიზმ/

e. https://www.researchgate.net/publication/325094754_mdgradi_turizmi_da_misi_roli_kveqnis_ekonomikis_mdgradobashi [accessed Jul 06 2018].

f. http://forbes.ge

g. https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/12038Mumpuni-Kuntoadji.pdf

h. www2.unwto.org

i. www.geostat.ge

j. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/gardava-tina2/home/kulturuli-turizmi

k. semanticscholar.org

l. http://european.ge

m. http://www. government.gov.ge

n. http://seismo.iliauni.edu.ge

o. http://catalog.edu.ge

დანართები

დანართი N1

შემაფერხებელი ფაქტორები	პასუხები		Percent of Cases
	რაოდენობა	%	
სასმელი წყალი	33	21.6%	41.8%
უმუშევრობა	45	29.4%	57.0%
ინფრასტრუქტურა	29	19.0%	36.7%
კანალიზაცია	10	6.5%	12.7%
სამეურნეო ტექნიკის არ არსებობა	1	0.7%	1.3%
უყურადღებობა სახელმწიფოს მხრიდან	14	9.2%	17.7%
ნაკლები ცნობადობა და რეკლამირება	4	2.7%	4.1%
გართობისსაშუალებები	3	2.0%	3.8%
ტურ-ბაზების დახურვა	1	0.7%	1.3%
განათლების ნაკლებობა	2	1.3%	2.5%
მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა	3	2.0%	3.8%
სამედიცინო მომსახურება	2	1.3%	2.5%
ტყე	6	3.9%	7.6%
ჯამი	153	100.0%	193.7%

დანართი N2

გამოსავალი პრობლემებისგან	პასუხები		Percent of Cases
	რაოდენობა	%	
უჭირს პასუხის გაცემა	14	13.5%	17.7%
გლეხის როლის გაზრდა	2	1.9%	2.5%
პენსიის ზრდა	1	1.0%	1.3%
ტურიზმის განვითარება	7	6.7%	8.9%
სამუშაო ადგილების გაზრდა	16	15.4%	20.3%
განათლება	2	1.9%	2.5%
სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა	33	31.7%	41.8%
სატრანსპორტო ქსელის განვითარება	2	1.9%	2.5%
მთავრობის ცვლილებით	2	1.9%	2.5%
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	9	8.7%	11.4%
წყლის ჩამომსხმელი ქარხანის აშენება	1	1.0%	1.3%
ინვესტორების შემოსვლა	5	4.8%	6.3%
წყლის პრობლემის მოგვარება	7	6.7%	8.9%
საზოგადოებრივი სახლი	3	2.9%	3.8%
ჯამი	104	100.0%	131.6%